პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 44-ე წელი | № 155 (12667) | ოთხშაბათი, 3 ივლისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ერთსულოვნად მოიწონეს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმი უდიდესი მოვლენა იყო პარტიისა და ხალხის იდეურ ცხოვრებაში. საქართველოს მშრომელები — კომუნისტები და უპარტიოები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, სწავლობენ, განიხილავენ და ერთსულოვნად იწონებენ პლენუმის დადგენილებასა და მასალებს, რომლებიც მარქსიზმ-ლენინიზმის — ჩვენი სოციალისტური იდეოლოგიის უძლეველ ძალასა და საბრძოლო სულისკვეთებას გამოხატავენ.

გუშინ, 2 ივლისს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ცხადყო, საქართველოს კომუნისტების ურღვევი იდეური და ორგანიზაციული შეკავშირება პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომ ისინი ძალღონესა და შრომას არ დაზოგავენ, რათა განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი.

პლენუმის მუშაობაში, რომელიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მიმდინარეობდა, მონაწილეობდნენ პარტიული და საბჭოთა მუშაკები, იდეოლოგიურ დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საწარმოთა და ორგანიზაციათა წარმომადგენლები, პროპაგანდისტები და აგიტატორები, გაზეთების რედაქტორები, პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტიკური მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები — სულ ათასზე მეტი კაცი.

პრეზიდიუმში არიან **გ. ნ. ბოჩკარიოვი, გ. ა. გეგეშიძე, ო. დ. გოცირიძე, დ. ს. ზემლიანსკი, მ. ი. კუჭავა, ვ. პ. მუკანაძე, დ. გ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, მ. მ. ლელაშვილი, რ. ი. ფრუიძე, ო. ე. ჩერქეზია.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის მოადგილე **ა. გ. ეგოროვი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი **ვ. ვ. ვასილევი.**

პლენუმი გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. პ. მუკანაძემ.**

პლენუმის დღის წესრიგშია შემდეგი საკითხები:

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციების ამოცანები იდეოლოგიური მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობის მოწვევა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა ამხ. **ვ. პ. მუკანაძემ.**

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობდნენ: საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი **რ. ი. ფრუიძე,** საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **დ. ვ. გოგოხია,** საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პირველი მდივანი **ი. ბ. აბაშიძე,** საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი **დ. ბ. თებიძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ე. კ. ხარაძე,** საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი **პ. დ. თედეევი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **ო. დ. ქინქლაძე,** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი, პოლიტიკური სამმართველოს უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი **თ. პ. სტეპჩენკო,** საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ი. კუჭავა,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **რ. რ. დვალი,** საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი **შ. ს. კობახიძე,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ო. ე. ჩერქეზია,** გურჯაანის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი **გ. ე. აზაურაშვილი,** თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, კომპოზიტორი **ო. ვ. თაქთაქიშვილი.**

პლენუმმა ვრცელი გადაწყვეტილება მიიღო მოხსენების გამო.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **დ. ს. ზემლიანსკი.**

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება — **საქართველოს კომუნისტური პარტიის მორიგი XXII ყრილობა მოწვეულ იქნას 1963 წლის 24 დეკემბერს.**

ამით დაამთავრა მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის მოწვევის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

1963 წლის 2 ივლისის დადგენილება

1. საქართველოს კომპარტიის მორიგი, XXII ყრილობა მოწვეულ იქნეს 1963 წლის 24 დეკემბერს.

2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

ა) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. მეჟავანაძე.

ბ) საქართველოს კომუნისტური პარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. თ. რ. აბაშმაძე.

გ) საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

3. დაწესდეს წარმომადგენლობის შემდეგი ნორმები საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობაზე: ერთი დელეგატი გადამწყვეტი ხმით პარტიის 200 წევრზე და ერთი დელეგატი სათათბირო ხმით სკკპ წევრობის 200 კანდიდატზე.

4. საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ სკკპ წესდების თანახმად დახურული, ფარული კენჭისყრით.

აფხაზეთის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული ორგანიზაციები XXII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ საოლქო კონფერენციებზე.

თბილისის, ქუთაისის, გორის, ფოთის, რუსთავის, ჭიათურის საქალაქო პარტიული ორგანიზაციები საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე. დანარჩენი ორგანიზაციები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების, სამრეწველო-საწარმოო ზონებისა და მთის რაიონების პარტიულ ორგანიზაციათა კონფერენციებზე.

კომუნისტები, რომლებიც ირიცხებიან საბჭოთა არმიის, სამხედრო-საჰაერო, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილების, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სასაზღვრო ნაწილებისა და შინაგანი და საბადრაგო ჯარების განყოფილების პარტიულ ორგანიზაციებში, საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ დანარჩენ პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების, სამრეწველო-საწარმოო ზონებისა და მთის რაიონების პარტიულ ორგანიზაციათა კონფერენციებზე.

ცეილონის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგილოცავთ თქვენ და თქვენი სახით ცეილონის კომუნისტური პარტიის ყველა წევრს თქვენი სახელოვანი კომუნისტური პარტიის დაარსების 20 წლისთავს.

ცეილონის კომუნისტური პარტიის ორი ათეული წლის არსებობამ და მოღვაწეობამ დაამტკიცა, რომ ცეილონელი კომუნისტები თავდადებულად ემსახურებიან თავიანთ ხალხს. ცეილონის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად იბრძვის მუშათა კლასის ერთობისათვის, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის მიღწევისათვის და ერის მთელი პატრიოტული ძალების გაერთიანებისათვის ერთიან დემოკრატიულ ფრონტად. რომელიც იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის წინააღმდეგ იქნება მიმართული. ცეილონელი კომუნისტები არიან ცეილონის პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, ცეილონის არაკაპიტალისტური გზით განვითარებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის მებაიალტრენი.

ცეილონის კომუნისტური პარტია, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლის მძლე მოძღვრების ერთგულია, შეურიგებლად ებრძვის მემარცხენე ოპორტუნისტებსა და მემარჯვენე რევიზიონისტებს. თავისი თანამიმდევრული ბრძოლით საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე, 1957 წლის დეკლარაციისა და 1960 წლის განცხადების პრინციპებზე, ცეილონის კომუნისტურმა პარტიამ ყველა მარქსისტულ-ლენინური პარტიის კანონიერი პატივისცემა დაიმსახურა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი სულით და გულით გისურვებთ თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, შემდგომ წარმატებებს კეთილშობილურ ბრძოლაში იმპერიალიზმის ხრიკებისა და შინაური რეაქციის წინააღმდეგ, მშრომელთა ინტერესებისა და სამშობლოს ნათელი მომავლისათვის.

გაუმარჯოს ცეილონის კომუნისტურ პარტიას — თავისი ქვეყნის მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

მეგობრობის მიტინგი ბერლინში

ბერლინი, 2 ივლისი. (საქდესი). ბერლინის უდიდესი დარბაზი ვეინერ-ზელენსინდერ-ჰალე სადღესასწაულოდ არის მორთული დღეს. აქ მეგობრობის მიტინგზე შეიკრიბნენ ბერლინელ მშრომელთა წარმომადგენლები, დემოკრატიულ პარტიათა და მასობრივ ორგანიზაციათა აქტივისტები.

როცა დარბაზში შემოვიდნენ **ნ. ს. ხრუშჩოვი, ვალტერ ულბრიხტი** და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელი მოღვაწეები, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **მ. რაიმანი,** ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ტ. ჟივკოვი,** საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი **ეტიენ ფაიონი,** შეკრებილებმა მქუხარე ოვაცია გამართეს, ისინი გაიძახოდნენ: **„ფროინდშაფტ — მეგობრობა“, „ხრუშჩოვ — ვაშა!“**

მიტინგი გახსნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა **პ. ფერნერმა,** რომელიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელთა სახელით გულთბილად მიესალმა **ნ. ს. ხრუშჩოვს.** დარბაზში გრიალებს ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა, როცა თავმჯდომარე სიტყვას აძლევს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა, რომელიც საათნახევარზე მეტ ხანს გაგრძელდა, უდიდესი ყურადღებით მოისმინეს. მისი სიტყვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში.

როცა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავისი სიტყვა დაამთავრა, რომელიც რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ყველანი ფეხზე დგებიან. კვლავ და კვლავ გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „გაუმარჯოს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს!“, „ფროინდშაფტ! — მეგობრობა!“, „ვაშა!“.

პ. ფერნერი სიტყვას აძლევს **ვალტერ ულბრიხტს.** მას გამოჰენას ტრიბუნაზე მიტინგის მონაწილენი ხვდებიან მქუხარე ხანგრძლივი ტაშით.

მიტინგის მონაწილენი არაერთხელ მიესალმნენ ვალტერ ულბრიხტის სიტყვებს მხურვალე ტაშით.

როცა მან თავისი სიტყვა დაამთავრა, დარბაზში კვლავ იქუხა ოვაციამ. იგი გაძლიერდა, როცა ნ. ს. ხრუშჩოვი და ვალტერ ულბრიხტი გულითადად გადაეხვივნენ ერთმანეთს. ათასობით ადამიანი მხურვალედ მიესალმა საბჭოთა მთავრობის მეთაურსა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებს. დარბაზში ყღერს რევოლუციური სიმღერა **„მეგობრად, ამხანაგებო...“.**

მიტინგის მონაწილეებმა მქუხარე ტაშითა და მისასალმებელი შეძახილებით გააცილეს ნ. ს. ხრუშჩოვი, ვალტერ ულბრიხტი და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

მიტინგზე ბერლინში 1963 წლის 2 ივლისს

ძვირფასო ამხანაგო ულბრიხტ!
ძვირფასო ამხანაგო ფერნერ!
ძვირფასო ამხანაგო ბერლინელებო!

ძვირფასო გერმანელო მეგობრებო!

ამ დღეებში მთელი თქვენი რესპუბლიკა აღნიშნავს ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის დაბადების სამოცდამეათე წლისთავს. ნება მიბოძეთ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის, ყველა საბჭოთა ადამიანის და პირადად ჩემი სახელით ერთხელ კიდევ გულითადად მივესალმო ჩვენს დიდ მეგობარს ვ. ულბრიხტს და სულითა და გულით ვუსურვო მას ჯანმრთელობა, წარმატებანი მუშაობაში, ვუსურვო ყველა გერმანელ კომუნისტს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მშრომელს შემდგომი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ყოფნის დროს ჩვენ უკვე ბევრი რამ ვნახეთ, ვესაუბრეთ თქვენი ქვეყნის მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს. ეს იყო საინტერესო, გულთბილი შეხვედრები, რომლებიც დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში როგორც დადასტურება იმისა, რომ სულ უფრო მტკიცდება ჩვენი ხალხების მეგობრობა.

ჩვენ გულწრფელად გვახარებს, რომ თქვენი რესპუბლიკის საქმეები კარგად მიდის. თქვენ წარმატებით დაიწყეთ სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის პროგრამის განხორციელება.

როცა თქვენი ხალხის შრომითს ენთუზიაზმს ვხედავთ, თვალნათლივ ვრწმუნდებით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები პარტიის ახალ პროგრამას შეხვდნენ როგორც საკუთარ, ღვიძლ, საარსებო საქმეს.

დასავლეთში ბევრს ლაპარაკობენ და წერენ ეგრეთწოდებული „ეკონომიური სასწაულის“ შესახებ დასავლეთ გერმანიაში. ჯეროვანი პატივი უნდა ვცეთ დასავლეთ გერმანიის ხალხის შრომასა და ნიჭს, მან მართლაც ბევრი ძალღონე მოახმარა თავისი მეურნეობის აღდგენასა და აღმავლობას. მაგრამ კაპიტალიზმის პირობებში სიმდიდრეს, რომელსაც მუშები და გლეხები ქმნიან, მხოლოდ ერთი მუჭა მონოპოლისტები ითვისებენ. დასავლეთი გერმანია თავიდან ვერ აიცილებს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს. დასავლეთგერმანელი მუშები ბევრ ოფლს ღვრიან და ბევრ შრომას ახმარენ დასავლეთ გერმანიის სამრეწველო წარმოების განვითარებას, მაშინ როცა მათი შრომის ნაყოფს მრეწველი და ფინანსისტი მაგნატები ითვისებენ. საქმე ის არის, რომ დასავლეთ გერმანიის მუშებს ნაკლებად უნაზღაურებენ შრომას, ვიდრე დასავლეთ ევროპის ბევრ სხვა ქვეყანაში. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიები იბრძვიან სამრეწველო პოტენციალის გადიდებისათვის, უწინარეს ყოვლისა, მშრომელთა გაძლიერებული ექსპლოატაციის გზით.

ჯერ კიდევ არ შეშრობია მელანი ნაწერებს დასავლეთ გერმანიის „ეკონომიური სასწაულის“ შესახებ, რომ ბურჟუაზიული პროპაგანდისტები და მათი პატრონები შიშმა შეიპყრო მოსალოდნელი დაქვეითების გამო დასავლეთ გერმანიის ეკონომიკაში.

მოდით გავიხსენოთ, როგორ მიმდინარეობდა დასავლეთ გერმანიის ეკონომიური განვითარება ომისშემდგომ წლებში. ცნობილია, რომ ომით გამოწვეული ნგრევის და ყველა საქონლის ნაკლებობის შედეგად დასავლეთის ქვეყნებში შეიქმნა მეტად ხელსაყრელი ეკონომიური კონიუნქტურა, დაიწყო მოწყობილობის განახლება და მრეწველობის მოდერნიზაცია. იგრძნეს რა, რომ მოგებას მიიღებდნენ, დასავლეთგერმანელმა კაპიტალისტებმა, რომლებმაც მოახერხეს კაპიტალის შენარჩუნება ჰიტლერული გერმანიის განადგურების შედეგადაც კი, ხალისით დაიწყეს დიდი კაპიტალების დაბანდება. ამასთან ისინი მარჯვედ იყენებდნენ შიშს კომუნიზმის წინაშე, თავი მოჰქონდათ კაპიტალისტური სისტემის „მხსნელებად“ დასავლეთ გერმანიაში. მათ მიიღეს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტთა დახმარება და მხარდაჭერა. ამერიკის მონოპოლიებსაც, რომლებმაც დიდი სახსრები მოახმარეს თავიანთი დასავლეთგერმანელი პარტნიორების ძლიერების აღორძინებას, არაფერი უზარალნიათ და საკმაოდ დიდი მოგება მიიღეს.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ დასავლეთ გერმანიას ჰქონდა მზა ნედლეულის ბაზა. მეტალურგია, მძიმე მრეწველობა, რომლებიც ომამდე მთელი გერმანიის ეკონომიკის საფუძველს შეადგენდნენ. აი როგორ წარმოიშვა დროებითი აღმავლობა, და დასავლეთელი პროპაგანდისტები ცხელ გულზე ცდილობდნენ თითქმის მარქსის თეორიის „გაბათილებად“ გაესაღებინათ იგი.

აღმოსავლეთ გერმანიის მშრომელებმა თავიანთი ეკონომიკის აღდგენა უფრო რთულ პირობებში დაიწყეს, ვიდრე დასავლეთ გერმანიის მშრომელებმა. საჭირო იყო ნედლეულისა და მასალების ახალი წყაროების გამონახვა, ფაქტიურად ხელახლა უნდა შეექმნათ მეტალურგიული ბაზა და მრეწველობის ბევრი სხვა დარგი, აღედგინათ ასობით, ათასობით დანგრეული საწარმო. ყოველივე ეს უდიდესი სირთულისა და სიძნელის ამოცანა იყო. და, მიუხედავად ამისა, დღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ევროპისა და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფოა: სამრეწველო წარმოების მოცულობით იგი შედის მრეწველობის მხრივ მსოფლიოს ყველაზე განვითარებული პირველი ათი ქვეყნის რიცხვში.

ყოველი ობიექტური ადამიანი იტყვის, რომ, თუ ვილაპარაკებთ ეკონომიურ სასწაულზე, იგი მოხდა სწორედ აქ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს სასწაული შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის მეოხებით, რომ ხალხმა ხელში აიღო ძალაუფლება და თავისი ბედის ბატონ-პატრონი გახდა. ეს სასწაული შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ არსებობს მძლავრი სოციალისტური თანამეგობრობა, რომელთანაც მტკიცე ძმური თანამშრომლობა აკავშირებს თქვენს ქვეყანას.

მხოლოდ სოციალიზმს ძალუძს მოახდინოს აღმშენებლობის ნამდვილი სასწაულები. მისი წარმატებები ემყარება გეგმიანი ეკონომიკის მტკიცე საძირკველს, ეკონომიკისა, რომელიც განუხრელად ვითარდება, ემყარება მეურნეობის ორგანიზაციის სოციალისტურ პრინციპებს, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას.

თქვენ იცით, თუ რა შრომითი გმირობა ჩაიდინეს საბჭოთა ადამიანებმა, სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებმა. ამ გმირობას ვერ შეედრება კაპიტალისტური სამყაროს ვერც ერთი „სასწაული“!

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მომავალში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდება ეკონომიურად. ამისათვის ყველა საჭირო პირობა და შესაძლებლობაა. თქვენში ძირითადად დაძლეულია დიდი დისპროპორციები მეურნეობაში, რომლებიც გამოიწვია თქვენი ქვეყნის გათიშვამ და ბუნებრივი ეკონომიური სტრუქტურისა და კავშირის დარღვევამ. ახლა თქვენი რესპუბლიკა გეგმაზომიერად მარაგდება ძირითად სახეობათა ნედლეულითა და მასალებით საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის ბაზაზე. ახლა თქვენ გაგაჩნიათ ნამეურნეო ხელმძღვანელთა კარგი კადრები, რომლებმაც უკვე შეიძინეს წარმოების ორგანიზაციის დიდი გამოცდილება, ისწავლეს მეურნეობის გაძღოლა სოციალისტური წესით.

დიდია აგრეთვე თქვენი რესპუბლიკის სოციალური მონაპოვარნი სახალხო ხელისუფლების წლებში, ისეთი მონაპოვარნი, რომლებიც კაპიტალისტური წყობილების პირობებში მიუწვდომელია მშრომელებისათვის.

ამჟამად სოციალისტური ქვეყნების წარმატებითი განვითარების შედეგად შეიქმნა ჩვენი ეკონომიური გეგმების უფრო ღრმა კოორდინაციის შესაძლებლობანი. და ამიტომ დასავლეთ გერმანიასთან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დარღვეულ ეკონომიურ კავშირს ახლა არა მარტო მთლიანად აანაზღაურებს სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობა, არამედ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეურნეობა დაუშრეტელ სანედლეულო და სამრეწველო რეზერვებსა და შესაძლებლობებს მიიღებს ახალ შესანიშნავ წარმატებათა მისაღწევად. სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის გაღრმავება მძლავრი ფაქტორია, რომელიც აჩქარებს ჩვენს საერთო წინსვლას.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შორს აღარ არის ის დრო, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თანდათან გაუსწრებს დასავლეთ გერმანიას ყველა მთავარი ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით. დიახ, ვიმეორებ, ეს როდი წამომცდენია, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ნამდვილად გაუსწრებს დასავლეთ გერმანიას, და ეს დრო უკვე იწყება. ეს იქნება თქვენი რესპუბლიკის მშრომელთა თვალსაჩინო წვლილი იმ ბრძოლაში, რომელსაც სოციალისტური თანამეგობრობა აწარმოებს, რათა სძლიოს კაპიტალისტურ სამყაროს ეკონომიურ შეჯიბრებაში. ჩვენ ვიფრთხილებდით და ვაფრთხილებთ ჩვენს მოწინააღმდეგეებს: რაც უნდა იჭაჭებოდეთ, მაინც სოციალისტური ქვეყნების კუდში იქნებით!

ახლა ბურჟუაზიული იდეოლოგებიც კი ცოტათი „მოჭკვიანდნენ“. წინათ ისინი დასცინოდნენ საბჭოთა ადამიანებს, აცხადებდნენ, რას გახდებიან ეს ფანტაზიორები, რომლებსაც სურთ კაპიტალისტურ ქვეყნებს გაუსწრონ! ახლა კი ამ ბატონებმა, როგორც იტყვიან, ენაზე კბილი დააჭირეს! ისინი იძულებული არიან აღიარონ, რომ ჩვენ მსოფლიოს მეორე ქვეყანა ვართ ეკონომიური განვითარების მხრივ და უკვე გავუსწარით ამერიკის შეერთებულ შტატებს ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახეობის მრეწველობის პროდუქციის წარმოებით.

თუ საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოახდინეს ასეთი სასწაული, დაიწყეს რა ეკონომიური განვითარების მეტად დაბალი დონიდან, რომელზეც ჩვენი ქვეყანა იყო ოქტომბრამდე, განა თქვენ, გერმანელები, ეკონომიკის განვითარების მსოფლიოში განთქმული ოსტატები, განა ვერ შეძლებთ ცხადყოთ თქვენი შესაძლებლობანი სოციალიზმის მშენებლობაში, რათა გადააჭარბოთ დონეს, რომელსაც სხვებმა მიაღწიეს კაპიტალისტური წყობილების პირობებში? რა თქმა უნდა, შეძლებთ! გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც სხვა ხალხები, რომლებიც განვითარების სოციალისტურ გზას დაადგნენ, შესანიშნავ შედეგებს აღწევენ თავიანთი ეკონომიკის განვითარებაში, და ეჭვი არ არის, რომ ისინი გაუსწრებენ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიური განვითარების დონითაც.

ძვირფასო ამხანაგებო!

ყოველთვის, როცა კი აქ, ბერლინში, გამოვდივარ, ისეთ საკითხებზე ვლაპარაკობ, რომელთა გადაჭრა პირდაპირ დაკავშირებულია ევროპაში მდგომარეობის ნორმალიზაციასთან. და იმედი მაქვს, თქვენ გესმით, რატომ ვშვრები ამას. გერმანია, დასავლეთი ბერლინი, ხომ საერთაშორისო პრობლემების რთული კვანძია. ამ პრობლემების გადაჭრაზე ბევრად დამოკიდებულია, თუ როგორი პოლიტიკური ჰაჯი იქნება მთელ ევროპაში, მთელ მსოფლიოში.

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მიწყდა მეორე მსოფლიო ომის უკანასკნელი ზალპები.

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

მაგრამ, ისევე როგორც წინათ, ევროპის მიწაწყალს დასწოლია ჯარისკაცის ჩაჩქანისა და ხიშტის ავბედითი აჩრდილი. ისევე როგორც წინათ, ამ მიწას დამოკლეს მახვილივით ემუქრება ომი. ახლა ამას დაემატა კიდევ უფრო ავბედითი აჩრდილი — რაკეტულ-ატომური იარაღის აჩრდილი. ხალხები ისე ცხოვრობენ, რომ არ იციან, როგორი იქნება მათი მომავალი, მათი შვილების მომავალი და აშინებთ ეს მომავალი. მათ სურთ რაც შეიძლება მალე მოუღონ ბოლო ასეთ მდგომარეობას. ეს კანონიერი და გასაგები სურვილია.

საბჭოთა კავშირი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ყველა სოციალისტური ქვეყანა სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებულნი დაძაბულობის მთლიანად აღმოფხვრით, ევროპის ყველა ქვეყანას შორის მტკიცე კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებით. ჩვენ გვინდა, რომ ევროპის ხალხებს, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხს, შეეძლოთ გულდამშვიდებით უყურონ მომავალს და მთელი ძალები მოახმარონ მშვიდობიან შრომას.

ჩვენ ვიცავთ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას როგორც მსოფლიო მასშტაბით, ისე მსოფლიოს სხვადასხვა რაიონის მიმართ. არ შეიძლება ვლაპარაკობდეთ მთელ დედამიწაზე მტკიცე მშვიდობის დამყარების შესახებ, თუ მის სხვადასხვა ნაწილში მუდმივად დარჩება დაძაბულობის კერები. ეს შეეხება მსოფლიოს ყველა რაიონს, მათ შორის ისეთ დიდმნიშვნელოვან რაიონსაც, როგორიც არის ევროპა. ძნელია გადაჭარბებით შეავფასოთ ევროპის სახელმწიფოთა პოლიტიკის მნიშვნელობა და როლი არა მარტო ევროპის, არამედ მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებაში. ხომ სწორედ აქ წარმოიშვა სერიოზული კონფლიქტები, რომლებმაც უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე ორჯერ დაატეხეს თავს მთელ კაცობრიობას სისხლისმღვრელი მსოფლიო ომები.

ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა, რა საშინელ უბედურებას მოუტანდა ევროპას მესამე მსოფლიო ომი. ხალხთა შეგნება ასეთ პერსპექტივასაც კი ვერ ურიგდება. საბჭოთა კავშირს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას, ისევე როგორც სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებს, დიდმნიშვნელოვან საქმედ მიიჩნიათ ევროპაში მტკიცე მშვიდობის დამყარების საკითხი.

საჭირო არ არის აგიხსნათ თქვენ, გერმანელებს, რა არის ომი, რა ზგრევა და უბედურება მოაქვს მას. ძვირად დაუჯდა გერმანელ ერს ავანტიურიზმი ჰიტლერისა, რომელმაც სისხლიანი ომი გააჩაღა, თვითონვე დაიწვა ამ ომში და უდიდესი ზარალი მიაყენა გერმანელ ხალხს. წარსულ ომში, რომელიც ჰიტლერმა გააჩაღა, უზარმაზარი, წარმოუდგენელი მსხვერპლი გაიღეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხალხმა. დიდი ზარალი განიცადეს სხვა ქვეყნების ხალხებმა.

ომის დამთავრებიდან 18 წელი გავიდა. ომით მიყენებული ჭრილობები კიდევ მრავალ წელს გაგვახსენებენ თავს. მაგრამ უკვე ახლა ეს ჭრილობები რამდენადმე მოშუშდა; ომით მიყენებული ტკივილი ხალხს რამდენადმე დაუყუჩდა. საბჭოთა ხალხმა და გერმანელმა ხალხმა, მთელი ევროპის, მთელი მსოფლიოს ხალხებმა უნდა გააკეთონ ყველაფერი, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ ეს ჭრილობები საბოლოოდ მოშუშდეს და ტკივილი სამუდამოდ გაქრეს.

ისტორია საგსეა მაგალითებით, როცა სახელმწიფოები, რომლებიც ომში დამარცხდნენ, მთელ ძალღონეს მიმართავდნენ ერთი მიზნისაკენ: მიეღწიათ რევანშისათვის, დაებრუნებინათ დაკარგული და ამაზე დაემატებინათ სხვისი დოვლათი. ასე იქმნებოდა სამხედრო შეტაკებათა დაუსრულებელი ჯაჭვი. მაგრამ ისტორია გვასწავლის, რომ რევანშის პოლიტიკას ხალხებისათვის არაფერი არ მოაქვს, გარდა ახალი ტანჯვისა და გაჭირვებისა.

ომისშემდგომ ევროპაში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, სერიოზული ცვლილებები მოხდა. შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა, ბევრმა სახელმწიფომ მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა, განთავისუფლდა კოლონიური ჩაგვრისაგან. წარმოიშვა სხვადასხვა წყობილების ორი გერმანული სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, სადაც ბატონ-პატრონია მუშათა კლასი, მშრომელი გლეხობა, მთელი ხალხი, და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, სადაც კვლავ კაპიტალისტები და მემამულეები ბატონობენ.

საბჭოთა კავშირს ძმური ურთიერთობა აქვს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, დიპლომატიური ურთიერთობა აქვს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან. ჩვენი ქვეყანა, რომელიც ერთგულია თავისი მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისა, დაინტერესებულია იმით, რომ საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ გერმანიას შორის ურთიერთობა ვითარდებოდეს ნდობისა და თანამშრომლობის გზით. ვფიქრობ, გერმანელი ხალხიც ღრმად არის დაინტერესებული მტკიცე და მეგობრული ურთიერთობით ჩვენს ქვეყანასთან, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან.

თუ თვალს გადავავლებთ არც ისე შორეულ წარსულს, დავინახავთ საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ურთიერთობის სწორედ ასეთი განვითარების მაგალითს. იყო დრო პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა გერმანიის სახელმწიფო მოღვაწეებს ეყოთ ძალღონე და მამაცობა ეღიარებინათ, რომ გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის მეგობრული ურთიერთობა სარგებლობას მოუტანს ორივე ქვეყანას, ორივე ხალხს. მათ შეძლეს გადაელახათ ვერსალის საზავო ხელშეკრულების დაბრკოლებანი, და ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარდა კარგი ურთიერთობა. ეს ბრძნული სახელმწიფოებრივი აქტი იყო.

რა ზიანი მიაყენა ამან გერმანიას, მის ეკონომიკას? არავითარი. პირიქით, გერმანიის მრეწველობას შეკვეთები მისდიოდა საბჭოთა კავშირიდან, ხოლო ამან საშუალება მისცა გერმანიას აღედგინა და განვითარებინა თავისი ეკონომიკა. საბჭოთა კავშირთან ურთიერთხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობის დამყარება გერმანიას საშუალებას აძლევდა უფრო სრულად დაეტვირთა თავისი მრეწველობა, სამუშაოთი უზრუნველეყო გერმანელი მშრომელები.

ამ ეკონომიურ ურთიერთობას სარგებლობა მოჰქონდა საბჭოთა კავშირისთვისაც. ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი საგულისხმო ეპიზოდი. ეს იყო ოციან წლებში. მაშინ რუტჩენკოვსკის მაღაროში ვმუშაობდი დონბასში. იქ გერმანელმა სპეციალისტებმა გაიყვანეს შახტი, რომელიც დღესაც მოქმედებს. ეს გახლავთ შახტი № 17. მის მეზობლად არის მეორე შახტიც, რომლის ჭაურები გაიყვანეს ჩვენმა მუშებმა და სპეციალისტებმა. მას ჰქვია შახტი 17-ბის. გერმანელი ინჟინრები და მუშები მონაწილეობას იღებდნენ საკოქსაი ღუმელებისა და ქიმიური ქარხნის აღდგენაში. ჩვენ არა მარტო ვთანამშრომლობდით, არამედ მიტინგებსაც ერთად ვმართავდით. მე შემთხვევა მქონდა დავსწრებოდი მიტინგს, რომელიც ამ სამუშაოების დამთავრებასთან დაკავშირებით გაიმართა. მიტინგზე გამოვიდნენ ჩვენი მუშები და გერმანიის ფირმის წარმომადგენლები. და ასეთი მაგალითი ცოტა რიდი იყო. უნდა ითქვას, რომ ეს იყო გერმანელი და საბჭოთა სპეციალისტებისა და მუშების სასარგებლო თანამშრომლობა. ეს იყო გერმანელი ხალხისა და საბჭოთა ხალხის კეთილმეზობლური ურთიერთობის კარგი მაგალითი.

თანამშრომლობის ასეთი ურთიერთობა შემდეგაც რომ განვითარებულიყო, ეს დიდ სარგებლობას მოუტანდა ჩვენს ქვეყნებს. მაგრამ ეს ურთიერთობა დაირღვა, როცა ხელისუფლების სათავეში ჩადგა ჰიტლერი, რომლის ანტიხალხურმა, მხეცურმა პოლიტიკამ უკუაგდო და ფეხქვეშ გათელა ეს ურთიერთობა. კეთილი მეზობლობისა და თანამშრომლობის ნაცვლად ატყდა ომი, რომელსაც მოჰყვა ჰიტლერის სამხედრო მანქანის სრული განადგურება. ამ ომმა უდიდესი ზარალი მიაყენა გერმანიის სახალხო მეურნეობას. უდიდესი მსხვერპლი გაიღეს საბჭოთა კავშირმა და სხვა ქვეყნებმა.

ხალხებს იმედი ჰქონდათ, რომ ომის შემდეგ მტკიცე მშვიდობა დამყარდებოდა და გონივრულად გადაიჭრებოდა მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხები. მაგრამ ხალხთა ეს იმედები არ გამართლდა. გერმანიის დასავლეთ ნაწილში საერთაშორისო იმპერიალიზმის აგრესიული წრეების დახმარებით შეიქმნა მილიტარისტული, რევანშისტული სახელმწიფო — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. რამდენიც უნდა ილაპარაკონ დასავლეთში იმპერიალისტური სახელმწიფოების ახლანდელი პოლიტიკის დასასაბუთებლად, იმ ფაქტს ვერსად გაექცევიან, რომ ევროპის ცენტრში დაძაბულობის კერის შენარჩუნება აღვივებს „ცივ ომს“, ამწვავებს ურთიერთობას ხალხთა შორის და უწინარეს ყოვლისა დასავლეთ გერმანიასა და სოციალისტურ ქვეყნებს შორის. ხალხები მოელიან, რომ გერმანიის საკითხი გადაიჭრება და ამრიგად შეიქმნება უფრო ხელსაყრელი პირობები ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის მშვიდობიანი განვითარებისათვის.

რა უნდა გაკეთდეს ევროპაში და, მაშასადამე, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის? საჭიროა აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, დაიდოს საზავო ხელშეკრულება გერმანიასთან. მე უკვე არაერთხელ მომიხდია მელაპარაკნა ამ პრობლემაზე. მაგრამ მოდით კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ რას მოუტანს საზავო ხელშეკრულების დადება გერმანელ ხალხს, მთელი ევროპის ხალხებს.

გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებით მოიგებდნენ არა მარტო საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ხალხები, რომლებიც მშვიდობის პოლიტიკისათვის იბრძვიან. იგი სჭირდებათ ევროპის სხვა სახელმწიფოებსაც, მთელი მსოფლიოს ადამიანებს; იგი განსაკუთრებით შეეხება დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის ინტერესებსა და მისწრაფებებს.

დაე დაუფიქრდნენ დასავლეთ გერმანიაში მცხოვრები გერმანელები, დაე დაუფიქრდნენ გერმანელი მუშები, გლეხები, ინტელიგენტები, საქმიანი ადამიანები, სახელმწიფო მოღვაწეები, დაე მათ გერმანული საფუძვლიანობით აწონ-დაწონონ: ვის ინტერესებს შეესაბამება ახლა მსოფლიო ომის ნაშთებისა და დაძაბულობის შენარჩუნება ევროპაში? და თუ ისინი უწინაზრახვოდ, რეალურად, საღად განსჯიან, გაითვალისწინებენ ყველა პლუსსა და მინუსს, მაშინ აშკარად დაინახავენ, რომ გერმანელი ხალხის ინტერესები მოითხოვენ ომის ნაშთებისა და დაძაბულობის კერების ლიკვიდაციას, ცენტრალურ ევროპაში მდგომარეობის ნორმალიზაციას.

ასეთი გზა ფართო ჰორიზონტებს გადაუშლის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას ნაყოფიერი ეკონომიური თანამშრომლობისათვის გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო მეტი და მეტი მოაზროვნე გერმანელი უფიქრდება ამ საკითხს. ისინი სულ უფრო ღრმად რწმუნდებიან და ნათლად ხედავენ, რომ საჭიროა სამუდამოდ მოეღოს ბოლო მილიტარიზმისა და რევანშიზმის პოლიტიკას.

ეს პოლიტიკა განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწევს დასავლეთ ბერლინის მოსახლეობას, რომელსაც უწინარეს ყოვლისა სჭირდება მდგომარეობის ნორმალიზაცია. ამის მიღწევა კი შესაძლებელია მხოლოდ საზავო ხელშეკრულების საფუძველზე. მხოლოდ მაშინ დამკვიდრდება სტაბილურობა დასავლეთ ბერლინის ცხოვრებაში, შეიქმნება ეკონომიური განვითარების ხელშემწყობი პერსპექტივები.

რა წინადადება შემოაქვს საბჭოთა კავშირს, როცა მტკიცედ მოითხოვს, რომ რაც შეიძლება მალე აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები? ჩვენ არაფერს არ მოვთხოვთ ისეთს, რაც ცვლილებებს შეიტანდა იმ პირობებში და ევროპის იმ მდგომარეობაში, რომლებიც ამჟამად არსებობს და რომლებიც ჰიტლერული გერმანიის განადგურების შედეგად შეიქმნა. ჩვენ მხოლოდ გვიდა იურიდიულად განმტკიცებულ იქნას შექმნილი მდგომარეობა და ამით რევანშისტებს გაუძნელდეთ ახალი ომის გაჩაღებისათვის მზადება.

დასავლეთის ქვეყნებში ჯერ კიდევ გრძელდება აურზაური ეგრეთწოდებული ბერლინის კედლის გარშემო. მაგრამ ის, რასაც დასავლეთში „კედელს“ უწოდებენ, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი საზღვარია. იგი შესაძლებლობას აძლევს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს აღვეთონ პროვოკატორული საქმიანობა თავიანთი ქვეყნისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ. ეს კი ნიშნავს, რომ ეგრეთწოდებული ბერლინის კედელი ემსახურება სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის საქმეს, მშვიდობის საქმეს.

საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, საღად შეეხედოთ საგნებს. უნდა შევიგნოთ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მითი კი არ არის, არამედ რეალური სახელმწიფოა, რომელსაც თავისი მთავრობა ჰყავს და თავისი კანონები, თავისი წესწყობილება და თავისი საზღვრები აქვს. ყოველ სუვერენულ სახელმწიფოს უფლება აქვს იცავდეს და კონტროლს უწევდეს თავის საზღვრებს.

ბევრი გაჰყვირის, რომ ბერლინში არსებული საზღვარი ‘ელს უშლის დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის ურთიერთობას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებლებთან. მაგრამ ეს სწორი არ არის. ასე მტკიცება შეუძლიათ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებსაც სურთ გამოიყენონ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეღწევა უკანონო, ანტიხალხური საქმიანობისათვის. ჩვენ ვიცით, რომ იმათ, ვისაც ნამდვილად სურს მეგობრული გაცვლისა და ურთიერთობის დამყარება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებთან, ვინც სუფთა და ღია გულით ჩამოდის აქ, სოციალისტური გერმანიის მშრომელები გულთბილად და სტუმართმოყვარულად ხვდებიან. თუ არის ისინი ელეები დასავლეთ ბერლინის მოსახლეობისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქის მცხოვრებთა ურთიერთობაში, ამაში ბრალი მიუძღვით საოკუპაციო ხელისუფლებსა და დასავლეთ ბერლინის ხელისუფლებს.

მეორე მსოფლიო ომმა შეცვალა ევროპის პოლიტიკური რუკა, და ამას ანგარიში უნდა გავუწიოთ. ტყუილად ფიქრობს ზოგიერთი ბეცი ადამიანი, რომ „ცივი ომის“ გაღვივებით, „ომის ზღვარის“ პოლიტიკის აღორძინებით შეიძლება აიძულო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები ნებაყოფლობით თქვან უარი თავიანთ სოციალისტურ სახელმწიფოზე. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებმა შეიგნეს მაღალი პატივი, როცა პირველმა აღმართეს წითელი დროშა გერმანიის მიწა-წყალზე. ისინი არასოდეს არ დათანხმდებიან კვლავ დაიდგან კაპიტალისტური უღელი, არასოდეს არ შემოუშვებენ თავიანთ ქვეყანაში მემამულეებსა და კაპიტალისტებს.

მე მხედველობაში მაქვს, რომ მშრომელები არასოდეს არ დათანხმდებიან ამას ნებაყოფლობით, და თუ მტრები ძალით მოინდომებენ ამის გაკეთებას, მათ ასეთი ძალა არ გააჩნიათ!

რევანშისტულ წრეებს გაგონებაც კი არ უნდათ, რომ დაიდოს საზავო ხელშეკრულება. მათი მიზანია მოსპონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩაანთქანიგი. მაგრამ მათთვის სავსებით ცხადია, რომ მარტოოდენ თავიანთი ძალებით ამას ვერ მიაღწევენ: კუჭი სუსტი აქვთ, ვერ მოიხელეებენ, და ვერც გადაყლაპავენ ასეთ ლუკმას. სწორედ ამიტომ ისინი ესოდენ ჯიუტად ცდილობდნენ შესულიყვნენ ნატოში — დასავლეთის სახელმწიფოთა აგრესიულ სამხედრო ბლოკში. გადარჩენილ ჰიტლერელებს მიაჩნიათ, რომ ნატო შესაძლებლობას აძლევს მათ განახორციელონ თავიანთი ოცნება — აიღონ რევანში მეორე მსოფლიო ომში დამარცხებისათვის. თავის მხრივ, დასავლეთის აგრესიულ წრეებს სურდათ გამოეყენებინათ დასავლეთი გერმანია მთავარ დამრტყმელ ძალად სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. სწორედ აქ, ამ ავანტიური გეგმების ნიადაგზე, დაემთხვა კიდევაც ერთმანეთს მათი ინტერესები.

რის იმედი ჰქონდათ დასავლეთ-გერმანელ რევანშისტებს? ისინი იმედს ამყარებდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებზე, რომლებიც არათუ არ დაზარალებულან ომის დროს, არამედ კიდევაც გამდიდრდნენ სამხედრო მოგებათა შედეგად. განსაკუთრებით ხიბლავდა დასავლეთგერმანელ მილიტარისტებს ამერიკის ატომური იარაღი, რომელზეც იმ დროს ამერიკის შეერთებულ შტატებს მონოპოლია ჰქონდათ.

გაიხსენეთ, რა იმედს ამყარებდნენ ატომურ იარაღზე იმპერიალიზმის რეაქციული ძალები, რომლებიც ცდილობდნენ გაენადგურებინათ სოციალიზმის ქვეყნები. ყველაზე გულახდილად ეს მიზნები ჩამოაყალიბა განსვენებულმა დალესმა, რომელიც ადენაუერს ნატოს აგრესიული ბლოკის სულიერ ბელადად მიაჩნდა. თქვენ გახსოვთ მისი „კომუნიზმის უკუგდების“ პოლიტიკა, „ომის ზღვარის“ პოლიტიკა, რომლის აზრიც იყო სოციალიზმის ლიკვიდაცია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში სამხედრო ძალის დახმარებით. იმპერიალისტთა ეს ზრახვები უწინარეს ყოვლისა მიმართული იყო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ. სწორედ ამ მიზანს ისახავდა ეგრეთწოდებული „გაერთიანების“ პროგრამა, რომელსაც ჩაებღაუჭნენ დასავლეთის სახელმწიფოთა მთელი რეაქციული წრეები.

იმპერიალისტების ენაზე „გაერთიანება“ მოასწავებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შთანთქმას. გერმანიის გაყოფა ხომ იმდენად ეროვნული საკითხი როდია, რამდენადაც სოციალურ-პოლიტიკური. გერმანიის ერთი ნაწილი სოციალიზმს აშენებს, მეორე — კაპიტალისტურ გზას ადგას. ამიტომ სიტყვა „გაერთიანება“ გულისხმობს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მისწრაფებას მოახდინონ გერმანიის მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაცია. არ გამოგივიდათ და არ გამოგივათ ეს, ბატონო რევანშისტებო!

ჩვენთვის გასაგებია გერმანელთა მისწრაფებანი, რომლებსაც სურთ გაერთიანებული იხილონ თავიანთი სამშობლო, ჰქონდეთ ერთიანი მშვიდობისმოყვარული და დემოკრატიული გერმანული სახელმწიფო. ეს ბუნებრივი და კანონიერი სურვილია. მშვიდობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა აახლოებს ამ მომავალს. ომისა და რევანშის პოლიტიკა აშორებს მას.

არ მინდა დავფარო ჩემი სიმპათიები და ვფიქრობ, რომ არავისათვის არ იქნება ახალი ამბავი, თუ ვიტყვი, რომ ორი გერმანული სახელმწიფოს გაერთიანების საკითხის გადაჭრის საუკეთესო გზაა კაპიტალიზმის ლიკვიდაცია დასავლეთ გერმანიაში და ერთიანი გერმანული სახელმწიფოს შექმნა სოციალისტურ საფუძველზე. ასეთი გზა ყველაზე პროგრესული და ჩვენი დროის სულისკვეთების, გერმანელი ხალხის, მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესების შესაბამისი იქნებოდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, როდის და როგორ მოხდება ეს, მომავლის საქმეა, თვით გერმანელი ხალხის და ძხოლოდ გერმანელი ხალხის საქმეა.

არ შეიძლება არ დავიხაოთ, რომ იმპერიალისტური ძალები ცდილობენ თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ გერმანელთა ეს ბუნებრივი მისწრაფებანი, ცდილობენ მიაღწიონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციას.

მაგრამ გერმანიის პრობლემის გადაჭრის ასეთი გზა ჩვენს დროში შეუძლებელია. ეს არის საომარ-ქალაქო ომის გზა, ეს არის მსოფლიო ომის გზა. ხოლო რას ნიშნავს ომი თანამედროვე პირობებში, როცა არსებობს რაკეტულ-ატომური იარაღი? კანცლერ ადენაუერსაც კი — ადამიანს, რომელიც სხვებზე მეტად შეპყრობილია რევანშიზმის ავადმყოფობით, ესმის, რომ თუ დაიწყება ომი, ამ ომში ყველაზე სწრაფად დაიწვის დასავლეთი გერმანია. კაპიტალიზმის ყველაზე გააფთრებული წარმომადგენლებისათვისაც კი ცხადი ხდება, რომ ომი თანამედროვე პირობებში თვითმკვლელობაა ყოველი აგრესორისათვის.

ამდენადვე ამაო და უიმედოა რევანშისტებისა და რეაქციონერების ცდები შიგნიდან გამოუთხარონ ძირი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას წაქეზებისა და პროვოკაციების გზით. ამას წინათ დასავლეთ გერმანიაში აურზაური ატყდა ბერლინში ფაშისტური პუტჩის მე-10 წლისთავთან დაკავშირებით, პუტჩისა, რომელიც სამარცხვინოდ ჩაიშალა. ამ შემთხვევის გამო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა წარმოთქვეს აგრესიული რევანშიზმის სულისკვეთებით გამსჭვალული სიტყვები. რა შეიძლება ითქვას ამის გამო?

ვფიქრობ, შეიძლება როგორღაც გაუგო გულისხადები კანცლერს, რომელიც უნდა გადადგეს, როცა იგი აშკარა უაზრო და უსაფუძვლო რამეს ამბობს, ცდილობს რა გაამართლოს ის პოლიტიკა, რასაც ჯიუტად ახორციელებდა მრავალი წლის განმავლობაში. მაგრამ როგორ უნდა გაუგო მომავალ კანცლერს, როცა იგი კისრულობს ამ ტვირთს, ამ უაზრობისა და განუხორციელებელი იმედების გროვას? მას ხომ მოუხდება გაწმინდოს ეს გროვა, ადრე თუ გვიან ეძებოს ახალი გზები, ახალი მიდგომა, მაშ თავიდანვე რათ ირთულებს ამოცანას, წარსულის აუტანელ ტვირთს რომ კისრულობს? საეჭვოა, რომ ეს გონივრული პოლიტიკა იყოს.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სახელმწიფო მოღვაწეები ლაპარაკობენ საბჭოთა კავშირთან კარგ ურთიერთობაზე, ამასთან პირობად აყენებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკისა და საზოგადოებრივი წყობილების შეცვლას. უნდა ვკითხოთ მათ: ბატონებო, თქვენ სერიოზული ადამიანები ხართ? შეგწევთ თუ არა უნარი სერიოზულად და საღად შეაფასოთ მდგომარეობა, რომელიც მსოფლიოში შეიქმნა, თქვენი საკუთარი მდგომარეობა და ჩვენი მდგომარეობა? და თუ მაინც დაიპირებთ აღნიშნოთ ეს დღე, მაშინ უწინარეს ყოვლისა უხდა გითხრათ, როგორ გაცამტვერდა 10 წლის წინათ თქვენი იმედები, თქვენი ცდები ბოლო მოგეღოთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის.

ბატონ რევანშისტებს უნდა ახსოვდეთ, რომ ეს იყო 1953 წელს, ახლა კი 1963 წელია. და თუ მაშინ ვერ შეძლეს მათ უკუღმა დაეტრიალებინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის განვითარება, ახლა მით უმეტეს ვერ შეძლებენ. ამ ხნის მანძილზე მსოფლიოში დიდი ცვლილებები მოხდა, და ეს ცვლილებანი მათ სასარგებლოდ როდია. თუ მაშინ ისინი ეყრდნობოდნენ შანტაჟს ამერიკული ატომური ბომბით და ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზნებს, განა შეუძლიათ ახლა დაგვაშინონ? მათ ხომ მშვენივრად იციან, თუ ომს ატეხენ, თვითონვე დაიწვებიან ამ ომში პირველ საათშივე. რათ მოიყარა თავი დასავლეთ ბერლინში ჰიტლერელთა პირწავარდნილმა ბანდამ, რომლებიც წარსულ ომში გადაგვიჩრჩნენ? რათ ჩავიდნენ დასავლეთ ბერლინში? მათ ხომ კარგად იციან, რომ დასავლეთი ბერლინი არის ქალაქი, რომელსაც პოტსდამის შეთანხმებით აქვს განსაკუთრებული სტატუსი, იგი არ შედიოდა, არ შედის და არც შევა დასავლეთ გერმანიაში.

რევანშისტებს ეს დასჭირდათ ვნებათა ღელვის გაღვივებისათვის, და არა ურთიერთობის გაუმჯობესებისათვის, არა შერიგებისათვის, არამედ ომის ფსიქოზის შენარჩუნებისათვის. მათ სურთ გერმანელი ხალხი აღზარდონ რევანშისტული სულისკვეთებით, მუდამ ახსენებდნენ მას, რომ გერმანიის ტერიტორია შემცირდა. მაგრამ თუ მათ სურთ აღადგინონ გერმანიის რაიხი მის ძველ საზღვრებში, რატომ ფარისევლობენ? დაე მაშინ შეიარაღდნენ ჰიტლერის გიჟური იდეებით, ხატონ გერმანიის რუკები უკრაინის ჩათვლით, ხატონ ურალამდე!

დიახ, ჰიტლერს უნდოდა ამ მიზნების მიღწევა, მაგრამ უსახეო ოდენ დაიღუპა. თუ რევანშისტები ჰიტლერის იდეებით ისულდგმულებენ, მათ ისეთივე ბედი ეწევათ. ამიტომ უკეთესი იქნებოდა რაც შეიძლება მალე დამდგარიყვნენ რეალისტურ და საღ პოზიციებზე. თუ მიმავალ კანცლერს არ შესწევდა უნარი გონივრულად შეეფასებინა მდგომარეობა მსოფლიოში და უსახელოდ ამთავრებს თავის საქმიანობას, ახალ კანცლერსაც ასეთივე ხვედრი მოელის, თუ ვერ ჰპოვებს თავის თავში ძალასა და გონივრულობას, რომ დაადგეს რეალურ რელსებს.

სულ ცოტა ხნის წინათ კანცლერმა ადენაუერმა, მისმა ხმის ამყოლმა ბრახდტმა, რომელიც თავს სოციალისტს უწოდებს, და დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ბერლინის სხვა რეაქციონერებმა მიიწვიეს ამერიკის პრეზიდენტი დასავლეთ ბერლინში. დასავლეთ ბერლინში ბ-ნ კენედის ჩასვლის თვით ფაქტში არაფერი ცუდი არ არის. შეიძლება მივსალმებოდით ასეთ ვიზიტს, ეს კეთილი განზრახვების ვიზიტი რომ ყოფილიყო. მაგრამ იმათ, ვინც პრეზიდენტი მიიწვია, რა თქმა უნდა, კეთილი სურვილებით როდი ქნეს ეს. მათ სურდათ თავიანთი უგუნური რევანშისტული მისწრაფებანი განემტკიცებინათ.

სწორედ ამიტომ პრეზიდენტს თან ახლდნენ მიმავალი კანცლერი და სხვა დასავლეთგერმანელი მოღვაწეები, რომლებსაც, სწორედ რომ ვთქვათ, არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ დასავლეთ ბერლინთან, რადგან, როგორც ეს არაერთხელ განგვიცხადებია ჩვენ და ჩვენს მოკავშირეებს, დასავლეთი ბერლინი დასავლეთ გერმანიის ნაწილი არ არის. როგორც პრესის ცნობებიდან ჩანს, ამერიკის პრეზიდენტი ერთბაშად როდი დათანხმებულა დასავლეთ ბერლინში წასულიყო წარმავალ კანცლერთან ერთად. როგორც ჩანს, მას შეგნებული ჰქონდა, რომ ასეთ კომპანიას არ შეიძლება ჩრდილი არ მიეყენებინა მისი მოგზაურობისათვის.

იმან, რომ ბ-ნმა კენედიმ დააკმაყოფილა დასავლეთგერმანელ რევანშისტთა მისწრაფებანი, არ შეიძლება არ დაანაღვლიანოს ისინი, ვისაც სურდა დაენახა დადასტურება პრეზიდენტის ამასწინანდელი გამოსვლისა ამერიკის ვაშინგტონის უნივერსიტეტში, რომელიც გამორჩეოდა საერთაშორისო ვითარების საღი შეფასებით. ამ გამოსვლაში ნათქვამი იყო, რომ საჭიროა გადაისინჯოს და გაუმჯობესდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, შენელდეს საერთაშორისო ვითარება, მოისპოს „ცივი ომის“ მდგომარეობა.

მაგრამ აი გავიდა სულ ცამეტი დღე მას შემდეგ, რაც ითქვა ეს სიტყვა. შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჩავიდა დასავლეთ გერმანიაში, ხოლო შემდეგ დასავლეთ ბერლინში და იქ უკვე სულ სხვა სიტყვები წარმოთქვა. თუ წავიკითხავთ იმას, რაც მან თქვა დასავლეთ გერმანიაში და განსაკუთრებით დასავლეთ ბერლინში, და შევადარებთ ამერიკის უნივერსიტეტში წარმოთქმულ სიტყვას, შეიძლება ვიფიქროთ, რომ გამოდიოდა ორი სხვადასხვა პრეზიდენტი.

ძნელია წარმოიდგინო, როგორ შეუძლია ერთსა და იმავე ადამიანს ასე მოკლე ხანში და იმ პირობებში, როცა საერთაშორისო მდგომარეობაში არავითარი არსებითი ცვლილება არ მომხდარა, წარმოთქვას სიტყვები, რომლებიც შეიცავენ ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრებს.

რით არის ეს გამოწვეული? ეს გამოწვეულია მეტად საში მოვლენით. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეჯიბრება საფრანგეთის პრეზიდენტს არმიყობაში ხანდაზმულ დასავლეთგერმანელ ქვრივთან. ორივე ცდილობს მოიგოს მისი უკვე გაცვეთული გული, რომელიც ხშირად მის მფლობელს კონსტრუქციულ აზრებს როდი უკარნახებს. და თუ ამ ქვრივს გაეარშიყებიან ისე, როგორც ამას ეს ორი არშიყი სჩადის, რომლებიც თავიანთი გულისაკენ ეწევიან მას, ქვრივს შეუძლია იფიქროს, მსოფლიო პრობლემების გადაჭრა ნამდვილად ჩემზეა დამოკიდებულიო. სინამდვილეში კი მასზე უკვე ცოტა რამ არის დამოკიდებული. ასეთ არშიყობას მოჰყვება მხოლოდ მსოფლიოში ვითარების დაძაბულობა და მეტად საშიში დაძაბულობა.

ამას ცხადყოფს, მაგალითად, პოლიტიკა, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ ატომური იარაღის საკითხებში. ისინი თავს ახვევენ თავიანთ მოკავშირეებს ამ იარაღს ნატოს ეგრეთწოდებული მრავალმხრივი ძალების სახით. და ეს კეთდება, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მოკავშირე უარს ამბობს მიიღოს მონაწილეობა ასეთი ატომური ძალების შექმნაში. მაშ რისთვის კეთდება მაინც ეს? უწინარეს ყოვლისა იმისათვის, რომ დაამაყოფილონ [illegible] — ფედერაციული — ბონელ-ვილეთ დაბრმავებული დასავლეთგერმანელი რევანშისტები, ბისწრაფება ხელთ იგდონ ატომური იარაღი. ასეთ პოლიტიკას შეიძლება მოჰყვეს კატ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ღება დასავლეთ გერმანიას. მაგრამ, ვფიქრობ, სულელი ადამიანებიც კი, რომლებსაც გონების რაღაც ნატამალი შერჩენიათ, ძნელად თუ გასწევენ თვითმკვლელობის რისკს.

ჰიტლერს რომ შესძლებოდა თავისი დასასრულის წინასწარ განჭვრეტა, არა გვგონია ასეთი ავანტიურის რისკი გაეწია. მან ომი იმიტომ დაიწყო, რომ წინასწარ ტკბებოდა გამარჯვებით. ჰიტლერს აზრადაც კი არ მოსდიოდა, რომ იძულებული იქნებოდა თვითმკვლელობით დაესრულებინა სიცოცხლე, რათა თავი ეხსნა ხალხთა სამართლიანი შურისძიებისაგან, გაქცეოდა საკუთარი თავის, როგორც კაცობრიობის მტრის, გასამართლებას.

ისეთმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, როგორიც არის საფრანგეთის პრეზიდენტი დე გოლი, რეალისტურად წარმოიდგინა, თუ რითი შეიძლება დამთავრდეს თანამედროვე ომი და სწორედ ამიტომ გააკეთა სალი განცხადება, გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრები უცვლელია. ამასვე ამბობენ ამერიკის, ინგლისის და ნატოში შემავალი სხვა ქვეყნების ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწეებიც. ზოგიერთი მათგანი ამას საჯაროდ აცხადებს, სხვები კი ამას აღიარებენ სოციალისტური ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეებთან საუბარში.

ვფიქრობ, რომ კაპიტალიზმის წამყვან მოღვაწეებს კარგად ესმით, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს მსოფლიო ომმა თანამედროვე სამხედრო ტექნიკის გამოყენებით.

მაშ რატომ არა სურთ დასავლეთის სახელმწიფოებს გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება? თუ ამ კითხვას ზოგადად ვუპასუხებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოებს არა სურთ დაკმაყოფილონ გერმანელი ხალხის ძირეული ინტერესები, ვინაიდან ეს ინტერესები ეწინააღმდეგება იმპერიალისტური წრეების გეგმებსა და მიზნებს.

ჩაუფიქრდით იმ პოლიტიკის არსს, რომელსაც დასავლეთ გერმანიის ახლანდელი მთავრობა ახორციელებს, და თქვენ დაინახავთ, რომ ეს პოლიტიკა დასავლეთგერმანელი ხალხის ინტერესებს კი არ ემყარება, არამედ გერმანელ რევანშისტთა ინტერესებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული შეერთებული შტატების იმპერიალისტებთან. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებისათვის ხელსაყოლია, რომ მათს მოკავშირეებს მეტრამ ეშინოდეთ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისა. „კომუნიზმის საფრთხეს" იყენებენ სამხედრო ბიუჯეტების გადიდებისა და იმ შენატანების გაზრდისათვის, რომლებიც ეგრეთ წოდებული თავდაცვის ფონდში შეაქვთ ნატოს ფარგლებში. მაგრამ ხომ ყველას ესმის, რომ რაც უფრო მეტ სახსრებს აბანდებს ესა თუ ის ქვეყანა თავდაცვისათვის, მით უფრო ნაკლები რესურსები რჩება მას ეკონომიკის მშვიდობიანი დარგების განვითარებისათვის. და სწორედ ამას ითხოვენ ამერიკელი მონოპოლისტები თავიანთი მოკავშირეებისაგან, რათა უზრუნველყონ უფრო ხელსაყრელი პირობები დასავლეთ გერმანიისა და სხვა მონოპოლისტურ წრეებთან კონკურენციულ ბრძოლაში.

ამერიკის მონოპოლიათა ამ მიზნებზე გულახდილად გვესაუბრა შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ეიზენჰაუერი. ოდესაც ჩვენ ვუთხარით, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის შეიარაღება საშიშია, და ვკითხეთ, თუ რატომ უწყობენ ხელს ამას ამერიკის შეერთებული შტატები, ეიზენჰაუერმა გვიპასუხა: გაიგეთ ჩვენი მდგომარეობა, დასავლეთ გერმანიას რომ არ ჰქონდეს გარკვეული ვალდებულებანი თავდაცვის დარგში, დიდი უპირატესობანი ექნებოდა სხვა ქვეყნებთან შედარებით ეკონომიურ შეჯიბრებაში.

ამრიგად, მან აღიარა, რომ შეერთებულ შტატებს აშინებთ დასავლეთ გერმანიის — მსოფლიო ბაზარზე თავიანთი კონკურენტის განვითარება. ამერიკის მმართველი წრეების თვალსაზრისით გერმანია წარმატებით ეწევა ამ კონკურენციას, იმიტომ, რომ დიდ სახსრებს არ ხარჯავს შეიარაღებაზე და მათ მეურნეობის განვითარებას ახმარს.

თუ ქვლავაც ასე გაგრძელდა, შეერთებული შტატები კიდევ უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, და ამიტომ აიძულებენ ისინი დასავლეთ გერმანიას შეიარაღდეს, ხარჯები გასწიოს.

მართლაც, თუ მუშათა კლასის ხელით შექმნილი პროდუქტის დიდი ნაწილი სამხედრო მიზნებს ხმარდება, ეს ნიშნავს, რომ ამაოდ იხარჯება ეროვნული სიმდიდრე, მუშათა და გლეხთა შრომა.

უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ამერიკელ იმპერიალისტთა სხვა ანგარებიანი ვარაუდი ამ პოლიტიკაში. გამალებული შეიარაღების გზაზე რომ აყენებენ დასავლეთ გერმანიას, მათ იმედი აქვთ, რომ სამხედრო კონფლიქტის დაწყების შემთხვევაში ატომურ დარტყმას უწინარეს ყოვლისა განიცდის დასავლეთი გერმანია, ამერიკის შეერთებული შტატები კი გარკვეული დროის განმავლობაში განზე დარჩებიან.

გამოდის, რომ დასავლეთის სახელმწიფოები ფარული აზრით უჭერენ მხარს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ახლანდელ არარეალისტურ პოლიტიკას და სურთ განამტკიცონ იგი ამ პოზიციაზე.

განა ყოველივე ეს შეესაბამება დასავლეთ გერმანიის მოსახლეობის მისწრაფებებს?! არავითარ შემთხვევაში! გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხის ინტერესები სულ სხვაა, ეს ინტერესები მოითხოვს გერმანიის მშვიდობიან განვითარებას, სოციალისტურ ქვეყნებთან ყოველმხრივი ურთიერთობის ნორმალიზაციასა და განვითარებას. არის კი ამის შესაბამისი ობიექტური პირობები? დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი პირობები არის.

ჯერ ერთი, საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის არ არის ისეთი დაუძლეველი ბარიერები, რომლებიც გამორიცხავდნენ ჩვენს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობას. რა თქმა უნდა, ჩვენ სხვადასხვა იდეოლოგიურ პოლუსზე ვდგავართ. ჩვენს ქვეყნებში სხვადასხვა სოციალური წყობილებაა. მაგრამ ეს ხომ თიშავს არა მარტო ერთი მხრივ, საბჭოთა კავშირს, სოციალისტურ ქვეყნებს, და მეორე მრივ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას. სოციალურ-პოლიტიკური წყალგამყოფი გადის ორ სხვადასხვა სისტემას — სოციალისტურ და კაპიტალისტურ სისტემებს შორის, ხოლო კაპიტალისტურ სისტემას განეკუთვნება არა მარტო დასავლეთი გერმანია, არამედ აგრეთვე ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია და ბევრი სხვა ქვეყანა.

ამ პირობებში არის სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის მხოლოდ ერთი გონივრული გზა — მშვიდობიანი თანაარსებობის, მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების გზა. მაგრამ თუ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების განსხვავება ხელს არ უშლის განავითაროონ თანამშრომლობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, რატომ არ შეიძლება დასავლეთი გერმანიაც დაადგეს ამ გზას?

სოციალურ-პოლიტიკური წყობილების საკითხები თვითეული სახელმწიფოს, თვითეული ხალხის საშინაო საქმეა. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და ვიმეორებთ, რომ ვადგაგართ სხვა ხალხების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოზიციას, თავს არ მოგვიხვევია და არასოდეს არ ვფიქრობ მოვახვიოთ ჩვენი წესწყობილება ამა თუ იმ ქვეყნებს.

მეორე, დასავლეთ გერმანიის გერმანელებს აქვთ პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესები, რომლებიც ემთხვევა სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ინტერესებს. უწინარეს ყოვლისა ეს შეეხება მშვიდობის საკითხს. დიდი ჭკუა არ არის საჭირო, რომ შეიგნო უბრალო ჭეშმარიტება: დასავლეთ გერმანიის ხალხი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობით. ვფიქრობ, დასავლეთ გერმანიის არც ერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არ შეეპარება ეჭვი, რომ საბჭოთა ხალხს, სხვა სოციალისტური ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც მხურვალედ იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის ლიკვიდაციისათვის, სურთ მშვიდობიანი ცხოვრება მთელ დედამიწაზე.

თუ ავიღებთ ეკონომიკის დარგს, აქ წავაწყდებით ბევრ ისეთ რამეს, რაც შეიძლება საიმედო ბაზა გახდეს ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის განვითარებისათვის. უეჭველია, დასავლეთ გერმანიის საქმიან წრეებს სურთ განავითარონ ეკონომიკა, კიდევ უფრო აამაღლონ დასავლეთ გერმანიის მრეწველობა. საბჭოთა ხალხს აქვს ეკონომიკის განვითარების დიდი გეგმები, რომლებსაც წარმატებით ახორციელებს.

მართლაც, იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისი მრეწველობის, მთელი ეკონომიკის ზრდა, დასავლეთ გერმანიას უნდა ჰქონდეს საიმედო და სტაბილური საგარეო ბაზარი. ეს კი უკვე ისეთი ასპარეზია, სადაც იგი აწყდება თავის დასავლეთელ პარტნიორებს — ამერიკის შეერთებულ შტატებს, ინგლისს, საფრანგეთს, იტალიასა და სხვა ქვეყნებს. აქ გარდუვალად შედის ძალაში კონკურენციის კანონი.

ჩვენი ქვეყნისათვის დასავლეთი გერმანია კონკურენტი არ არის. თუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა აწარმოებს მეტ ფოლადსა და მანქანებს, ჩვენთვის ეს ცუდი როდი იქნება. მანქანები უფრო იაფი იქნება, და ჩვენ შეგვძლებთ ვიყიდოთ ისინი მეტი რაოდენობით. ეს ორივესათვის ხელსაყრელია. ისტორიულად და ორივე ჩვენი ქვეყნის მეურნეობათა სტრუქტურის გამო ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ კარგი საავჭრო პარტნიორები, მით უმეტეს რომ უზარმაზარი პოტენციური შესაძლებლობანი გვაქვს.

რა თქმა უნდა, როცა საავჭრო პარტნიორი დემონსტრაციულად უარს ამბობს ადრე შეთანხმებული შეკვეთების შესრულებაზე, ეს სრულებითაც არ შეიძლება მივიჩნიოთ საავჭრო საქმეებში კეთილსინდისიერების გამოვლინებად. ამ მხრივ საგულისხმოა მილების ამასწინანდელი ისტორია. ამერიკის შეერთებული შტატების ნავთობის მონოპოლიებმა აიძულეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა უარი ეთქვა დიდი დიამეტრის მილების მიწოდებაზე საბჭოთა კავშირისათვის. ასეთმა მოქმედებამ, რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ შეგვიქმნა გადაუჭრელი პრობლემები. საბჭოთა საწარმოებმა გადიდეს მილების გამოშვება. ვინ მოიგო იმის შედეგად, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ დაარღვია საავჭრო გარიგება საბჭოთა კავშირთან? მოიგეს ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიებმა. დასავლეთ გერმანიის მრეწველები დაზარალდნენ. ამას გარდა, შეირყა ნდობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისადმი, როგორც საავჭრო პარტნიორისადმი.

დასავლეთ გერმანიის საქმიანი ადამიანებისათვის კარგად გასაგები და ცხადია, თუ რა სარგებლობა მოაქვს მტკიცე და მყარ ეკონომიურ ურთიერთობას საბჭოთა კავშირთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. მაგრამ, როგორც ჩანს, პოლიტიკური მოსაზრებანი ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ მათზე და შესაძლებლობას არ აძლევენ დაადგნენ ჩვენთან ჯანსაღი ეკონომიური თანამშრომლობის გზას. აქ, როგორც იტყვიან, ერთი ალთას არის და მეორე ბალთას. დასავლეთ გერმანიის პოლიტიკური მოღვაწეები ახორციელებენ უგუნურ კურსს, ანგარიშს არ უწევენ ეკონომიურ ზარალს, რასაც ამასთან დაკავშირებით განიცდის დასავლეთ გერმანიის ეკონომიკა.

დასავლეთგერმანელმა მოღვაწეებმა, თუ მათ ნამდვილად სურთ საღად მოაზროვნე პოლიტიკოსები იყონ, არ უნდა დაივიწყონ ის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი გარემოებაც, რომ ეკონომიური აღმავლობა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვამჩნევთ ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკვე დიდი ხანია გასცდა თავის უმაღლეს წერტილს. ამას მარტო ჩვენ, მარქსისტები, როდი ვამბობთ, ასე ამბობენ ბურჟუაზიული ეკონომისტები. ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის საქმიანი წრეები უკვე იღებენ გარკვეულ ღონისძიებებს, რათა უფრო შორს გადასწიონ მოსალოდნელი შერყევანი.

საეჭვოა, რომ ასეთ პირობებში გონივრული და შორსმჭვრეტელური იყოს უგულებელმყოფელი დამოკიდებულება სოციალისტურ ქვეყნებთან ეკონომიური ურთიერთობისადმი და მით უმეტეს მისი დარღვევა. ეს ხომ დასავლეთ გერმანიის ეკონომიკის წინააღმდეგ წარიმართება.

როცა წარსულს უბრუნდები, ანალიზს უკეთებ ისტორიულ გამოცდილებას, რომელმაც ცხადყო საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის ურთიერთ ხელსაყრელი ეკონომიური ურთიერთობის სრული შესაძლებლობა, უნებურად ფიქრობ: რატომ არ უნდა ვიფიქროთ ახლა იმაზე, რომ ავაღორძინოთ და გამოვიყენოთ წარსულის კარგი გამოცდილება. ახლა რომ მოვახერხოთ და დავძლიოთ ის სიძნელეები, რომლებიც ჰიტლერმა დაგვიტოვა მემკვიდრეობად, საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის შეიძლება დამყარდეს კიდევ უფრო ფართო და მტკიცე ეკონომიური ურთიერთობა. ეს ურთიერთობა ხელს შეუწყობდა როგორც საბჭოთა კავშირის, ისე დასავლეთ გერმანიის ეკონომიკის წარმატებით განვითარებას. ახლა დასავლეთ გერმანიის ეკონომიკა უკვე აღდგენილია და გადააჭარბა ომამდელ დონეს. წარმატებით ვითარდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სოციალისტური ეკონომიკა. ეკონომიური განვითარების სასწაულებს ცხადყოფს საბჭოთა კავშირი. ეკონომიკის დონით ჩვენს ქვეყანას მეორე ადგილი უჭირავს მსოფლიოში, ხოლო ზოგიერთ დარგში უკვე გაუსწრო კაპიტალიზმის ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოს — ამერიკის შეერთებულ შტატებს.

ცხოვრება ადასტურებს, რომ განსაკუთრებით საიმედოა ვაჭრობა და ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან. ჩვენი სოციალისტური ეკონომიკა გეგმიან საწყისებზე ვითარდება, ისე რომ არ არის კრიზისები და დაქვეითება, იგი განუხრელად მიდის წინ. ჩვენი მეურნეობის სოციალისტური ხასიათის მეოხებით შესაძლებლობა გვაქვს მრავალი წლით ადრე დავგეგმოთ ჩვენი ეკონომიური და საავჭრო ურთიერთობა. ჩვენ ძალგვიძს უზრუნველვყოთ ისეთი მყარი და საიმედო ბაზარი, რომელიც შეიძლება შეშურდეს ყოველ კაპიტალისტურ სახელმწიფოს.

ცნობილია, რომ დასავლეთ გერმანიას ესაჭიროება მთელი რიგი პროდუქტები, რომლებიც გაქვს ჩვენს ქვეყანას. საბჭოთა კავშირის შეუძლია სოლიდური შეკვეთები მისცეს დასავლეთ გერმანიას, აგრეთვე დასავლეთ ბერლინს, რომელსაც ესაჭიროება პოლიტიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია და შეკვეთების უზრუნველყოფა ნორმალური ეკონომიური განვითარებისათვის. თავის მხრივ, დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინს შეუძლიათ იყიდონ ჩვენგან ის სამრეწველო საქონელი, რომელიც მათთვის უფრო ხელსაყრელია გარეთან მიიღონ, ვიდრე შინ აწარმოონ.

ასეთია, ჩვენი აზრით, საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დამყარების შესაძლებლობანი და ის ამკარა ურთიერთუპირატესობანი, რომლებიც შეიძლება მიიღონ ჩვენი ქვეყნების ხალხებმა.

ხაზი უნდა გავუსვათ, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ვაჭრობის განვითარება საბჭოთა კავშირთან და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან უეჭველად მოუტანდა სარგებლობას ხალხებს. ყველაზე დიდმნიშვნელოვანი მოგება ამის შედეგად ის იქნება, რომ განმტკიცდება ნდობა და მეგობრული ურთიერთობა, ურომლისოდაც შეუძლებელია მშვიდობის განმტკიცება ევროპაში.

გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება რადიკალური საშუალებაა იმისა, რომ ურთიერთობა მოწესრიგდეს არა მარტო საბჭოთა კავშირსა და დასავლეთ გერმანიას შორის, არამედ ევროპის ყველა ქვეყანას შორის და არა მარტო ევროპისა. გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების შედეგად ადამიანებს განუმტკიცდებათ რწმენა, რომ შესაძლებელია მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება. შემცირდება სამხედრო ხარჯების ტვირთი და ამის შედეგად ამაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

ახლა უკვე ბევრს ესმის, რომ გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადების შესახებ ჩვენი წინადადება მარტო ერთი მხარის ინტერესებს როდი ითვალისწინებს. საზავო ხელშეკრულების დადებით არანაკლებ დაინტერესებული არიან დასავლეთი გერმანია, დასავლეთი ბერლინი. ამ ნაბიჯის განხორციელებით დაინტერესებულია ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანა და ხალხი.

წინათ, როცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და დასავლეთ ბერლინის საზღვარს კონტროლი არ ეწეოდა, იმპერიალისტებისათვის ხელსაყრელი იყო შეენარჩუნებინათ მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, რათა ძირგამომთხრელი მუშაობა გაეწიათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. ახლა კი, როცა დაწესდა მტკიცე კონტროლს დაქვემდებარებული დაცული საზღვარი, იმპერიალისტებმა დაკარგეს ეს უპირატესობანი, ახლა შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთიც უნდა იყოს არანაკლებ დაინტერესებული საზავო ხელშეკრულების დადებით.

მაგრამ ეს არა სურთ დასავლეთის სახელმწიფოთა მკვლელურ წრეებს. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა არ დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება. გერმანიასთან მშვიდობიანი მოწესრიგების მტრებს, როგორც ეშმაკს საკმაველისა, ისე ეშინიათ, რომ საზავო ხელშეკრულების დადების შემთხვევაში დასავლეთ გერმანიის მოსახლეობა მიხვდება, რომ უაზროა „ცივი ომის" განგრძობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. რეაქციული წრეები იმიტომ გამოდიან საზავო ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომ ეშინიათ არ დაირღვეს დაჯგუფება, ნატოს აგრესიული ბლოკი.

თუ ამას დავუმატებთ, რომ სოციალისტურ ქვეყნებს არაერთხელ განუცხადებიათ, რომ მზად არიან ხელი მოაწერონ არა მარტო საზავო ხელშეკრულებას, არამედ დადონ პაქტი ორი ძირითადი დაჯგუფების — ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებისა და ნატოს ქვეყნების თავდაუსხმელობის შესახებ, სავსებით ნათელი გახდება, ვინ იბრძვის ნამდვილად მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და ვინ ადგენს სამხედრო ავანტიურების გეგმებს და აღვიძებს „ცივ ომს".

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეუძლებელია სამუდამოდ გაყინონ დასავლეთ გერმანიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ხალხთა შეგნება, შეუძლებელია იქონიონ იმის იმედი, რომ ადამიანები ვერასოდეს ვერ გაერკვევიან იმპერიალისტური პოლიტიკის ამ ოინებში. უკვე ახლა ყინული დაიძრა, სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის სწორად, რისთვის შეიქმნა ნატოს აგრესიული ბლოკი და რა მიზნებს ისახავენ მისი დამაარსებლები. დასავლეთელი გერმანელებიც მიხვდებიან დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკის ფარულ აზრს, რომლის მიზანია ის, რომ მოუსპონ დასავლეთ გერმანიას შესაძლებლობა განახორციელოს დამოუკიდებელი პოლიტიკა დასავლეთ გერმანიის ხალხის ინტერესებისათვის. ამას მალე მიხვდება დასავლეთ გერმანიის ყველა მშრომელი.

მოვა დრო, ადრე თუ გვიან, მაგრამ ასეთი დრო მოვა, როცა ყველა გერმანელი მშრომელი შეიგებს იმას, რომ საჭიროა მტკიცედ დაადგნენ მშვიდობის უზრუნველყოფისათვის, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების გადაჭრით მოსპობისათვის, გერმანიის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერისათვის ბრძოლის გზას. გვჯერა, რომ დადგება დრო, როცა დასავლეთ გერმანიაში იქნება მთავრობა, რომელიც დაადგება საბჭოთა კავშირთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან თანამშრომლობის გზას, განახორციელებს მშვიდობისა და ყველა ხალხთან მეგობრობის პოლიტიკას.

ამხანაგებო! მინდა გამოვთქვა აზრი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხზე. როგორც ცნობილია, ამ საკითხზე ივლისის შუა რიცხვებში მოსკოვში განზრახულია განახლდეს მოლაპარაკება. ყველას, ბუნებრივია, ებადება აზრი — დაიდება თუ არა ახლა, ბოლოს და ბოლოს, შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ეს კანონიერი ინტერესია, და მინდა გავაშუქო ჩვენი თვალსაზრისი ამის შესახებ.

საბჭოთა მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ მზად არის დაუყოვნებლივ მოაწეროს ხელი ხელშეკრულებას ატომური იარაღის ყველა გამოცდის, ვიმეორებ ატომური იარაღის ყველა გამოცდის სამუდამოდ აკრძალვის შესახებ, სადაც უნდა ხორციელდებოდეს ეს გამოცდა. უკვე მრავალი წლის წინათ ჩვენ დავაყენეთ საკითხი, რომ აიკრძალოს მისი გამოცდის მოწყობა.

მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებს, უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებს, არა სურთ ასეთი შეთანხმება. ისინი უსასრულოდ აჭიანურებენ მოლაპარაკებას, აყენებენ სხვადასხვა ხელოვნურ საბაბს, რათა თავი აარიდონ ატომური იარაღის ყველა გამოცდის შეწყვეტას, განსაკუთრებით ჯიუტად მოითხოვენ საერთაშორისო ინსპექციებს.

მეცნიერებით დამტკიცებულია და პრაქტიკით სავსებით დადასტურებულია, რომ არ არის საჭირო რაიმე ინსპექცია ატომური იარაღის გამოცდის, მათ შორის მიწისქვეშა გამოცდის შეწყვეტისადმი. სახელმწიფოთა განკარგულებაში არსებული ატომურ აფეთქებათა აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი, მით უმეტეს ავტომატურ სეისმურ სადგურებთან შეხამებით, რომელთა დადგმაზე თანახმა ვართ, უზრუნველყოფენ საიმედო კონტროლს ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდის შეწყვეტისადმი. მიუხედავად ამისა, დასავლეთის სახელმწიფოები ჯიუტად უკავშირებენ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის გადაჭრას ეგრეთწოდებულ საერთაშორისო ინსპექციებს.

ეს ნიშნავს, რომ დასავლეთის სახელმწიფოთა მოთხოვნებს ინსპექციების შესახებ სხვა მიზანი აქვთ. რა მიზანი? ჩვენ დიდიხანია დავრწმუნდით, რომ საერთაშორისო ინსპექციები დასავლეთის სახელმწიფოებს ესაჭიროებათ არა იმისათვის, რომ კონტროლი გაუწიონ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას, არამედ იმისათვის, რომ ყოველნაირი გზით შეაღწიონ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რაიონში დაზვერვის მიზნით. ამრიგად, საქმე ეხება არა კონტროლს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი, არამედ არსებითად ჯაშუშობის დაკანონებას.

თუ წინათ ვისმე ეჭვი ეპარებოდა დასავლეთის სახელმწიფოთა ჭეშმარიტი მიზნების შესახებ, როცა ისინი ინსპექციის მოწყობას მოითხოვდნენ. ახლა ამისათვის არავითარი საფუძველი აღარ არის. ცნობილია, რომ გასული წლის დამლევს საბჭოთა მთავრობამ დიდი ნაბიჯი გადადგა, ანგარიში გაუწია დასავლეთის სახელმწიფოთა მოთხოვნებს და დათანხმდა ყოველწლიურად მოეწყოს 2-3 ინსპექცია. მაგრამ რით უპასუხეს დასავლეთის სახელმწიფოებმა კეთილი ნების ამ გამოხატულებას? მათ არა თუ ჯეროვნად არ შეაფასეს ჩვენი ეს ნაბიჯი, არამედ. შეეცადნენ თავს მოეხვიათ ჩვენთვის დავა ინსპექციების რაოდენობისა და მათი მოწყობის პირობების გამო. ‘ამის შემდეგ უფრო ნათელი გახდა, რომ ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები ზრუნავენ არა იმისათვის, რომ დადონ თანასწორუფლებიანი შეთანხმება, არამედ სურთ მიიღონ შესაძლებლობა იფრინონ საბჭოთა ტერიტორიაზე, აწარმოონ აეროფოტოგადაღება და სხვა რამ, რაც სრულებითაც არ არის დაკავშირებული ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტასთან, მაგრამ შეესაბამება ნატოს სამხედრო შტაბების მოთხოვნილებებს.

მაგრამ ბატონმა იმპერიალისტებმა დროა იცოდნენ, რომ საბჭოთა მთავრობა არასოდეს არ დათმობს თავისი ქვეყნის, ყველა სოციალისტური ქვეყნის უშიშროების ინტერესებს, არ გაუღებს კარს ნატოს მზვერავებს. ეს არ არის ვაჭრობის საგანი. ჩვენი პოზიცია ამ მხრივ ნათელი და ურყევია.

საბჭოთა მთავრობა დარწმუნებულია, რომ ხალხთა ინტერესებს შეესაბამება რაც შეიძლება მალე დაიდოს შეთანხმება იმის შესახებ, რომ შეწყდეს ატომური იარაღის გამოცდა ყველგან — ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში, წყალქვეშ და მიწის ქვეშ. მაგრამ ახლა ეს, როგორც ჩანს, შეუძლებელია დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის გამო.

საბჭოთა მთავრობამ გულდასმით აწონ-დაწონა შექმნილი მდგომარეობა და, ხელმძღვანელობს რა ხალხთა ბედისათვის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით, აცხადებს, რომ, რადგან დასავლეთის სახელმწიფოები ხელს უშლიან შეთანხმების დადებას ატომური იარაღის ყველა გამოცდის აკრძალვის შესახებ, საბჭოთა მთავრობა მზად არის დადოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ ატმოსფეროში, კოსმოსურ სივრცეში და წყალქვეშ. ჩვენ ადრეც წამოგვიყენებია ეს წინადადება, მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოებმა ჩაშალეს შეთანხმების მიღწევა იმით, რომ წამოაყენეს დამატებითი პირობები, რომლებიც ითვალისწინებდნენ ჩვენი ტერიტორიის ფართო ინსპექციის განხორციელებას.

თუ ახლა დასავლეთის სახელმწიფოები ეთანხმებიან ამ წინადადებას, ინსპექციის საკითხი სავსებით იხსნება. დასავლეთის სახელმწიფოებმა ხომ განაცხადეს, რომ არავითარი ინსპექცია არ არის საჭირო იმისათვის, რომ სახელმწიფოებმა შეამოწმონ თავიანთ ვალდებულებათა შესრულება, რომლებიც იკისრეს, რათა შეწყვიტონ ატომური იარაღის გამოცდები ატმოსფეროში, კოსმოსსა და წყალქვეშ. მაშასადამე, საკითხის გადაჭრის გზა გახსნილია, საბჭოთა მთავრობა იმედს გამოთქვამს, რომ დასავლეთის სახელმწიფოები, ხალხთა მისწრაფების დასაკმაყოფილებლად, დადებითად მოეკიდებიან საბჭოთა მთავრობის ამ წინადადებას.

გამოცდების შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადება აღკვეთს ატმოსფეროს რადიოაქტიური მოწამვლის საშიშროებას; აღმოფხვრის საფრთხეს, რომელიც ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობას ექმნება. ასეთი შეთანხმების დადება უთუოდ ხელს შეუწყობს საერთაშორისო კლიმატის საერთო გაუმჯობესებას, დაძაბულობის შენელებას, მაშასადამე, შეუძლია შეამსუბუქოს ურთიერთ მისაღებ გადაწყვეტილებათა გამონახვა სხვა საერთაშორისო საკითხებშიც.

რა თქმა უნდა, შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ ამ უდიდეს აქტს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვერ შეაჩერებს გამალებულ შეიარაღებას, ვერ აღკვეთს ან არსებითადაც ვერ შეასუსტებს თერმოატომური ომის საფრთხეს.

ამიტომ საბჭოთა მთავრობას მიაჩნია, რომ საჭიროა ეცადონ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დადებისას, გადაიდგას აგრეთვე მეორე დიდი ნაბიჯიც საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა შორის ნდობის განმტკიცების გზაზე — დაიდოს თავდაუსხმელობის პაქტი სახელმწიფოთა ორ ძირითად სამხედრო დაჯგუფებას შორის — ნატოს ქვეყნებსა და ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე ქვეყნებს შორის. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური სახელმწიფოები მთელი რიგი წლების მანძილზე აყენებენ წინადადებას ასეთი პაქტის დადების შესახებ. ჩვენ კმაყოფილებით აღვნიშნავთ, რომ ეს წინადადება პოულობს სულ უფრო დიდ საერთაშორისო მხარდაჭერას, აქედან ნატოს ზოგიერთ ქვეყანაშიც. ახლა დადგა დრო განხორციელდეს ეს წინადადება.

შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ და ამავე დროს სახელმწიფოთა ორ დაჯგუფებას შორის თავდაუსხმელობის პაქტის ხელმოწერა შექმნის ახალ საერთაშორისო ატმოსფეროს, რომელიც უფრო ხელშემწყობი იქნება იმისათვის, რომ გადაიჭრას თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემები, მათ შორის განიარაღების პრობლემა.

ეს პრობლემები შეეხება ხალხთა უფართოესი მასების ინტერესებს. სწორედ ამიტომ კომუნისტები მოუწოდებენ ყველა ხალხს, მოსახლეობის ყველა ფენას, მიუხედავად მათი პოლიტიკური შეხედულებებისა და რწმენისა, შეკავშირდნენ საერთო ბრძოლაში ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის, სახელმწიფოთა შორის მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის.

ამხანაგებო! ხალხები, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ, რწმენით შეჰყურებენ მომავალს. ჩვენ იმპერიალიზმთან გააფთრებულ ბრძოლებში დავიცავით უფლება, რომ ვაშენოთ ჩვენი ცხოვრება ჩვენი რწმენისა და იდეალების შესაბამისად. სოციალისტური თანამეგობრობა ახალ წარმატებებს აღწევს ნათელი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, სადაც არ არის მტრობა, ექსპლოატაცია, სადაც ადამიანი ადამიანის მეგობარი და ძმაა.

შეხედ

ამბავს წინათ გაზეთმა „პრავდამ“ გამოაქვეყნა ამერიკელი მუშის ვილიამ სუპერის წერილი. სუპერმა მოსკოვის რადიოს გამოუგზავნა 5 დოლარი და სთხოვა ამ ფულით ეყიდათ ყვავილები და შეემკოთ ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი.

სურათზე: ვილიამ სუპერი (მარჯვნივ) და მოსკოვის რადიოს საპასუხო წერილი სუპერის ფულით შეძენილი გვირგვინის ფოტოსურათით.

ფოტო იუპი-საკდესისა.

ბერტრან რასელის განცხადება

ლონდონი, 1 ივლისი, (საკდესი). დღეს ფილოსოფოსმა და საზოგადო მოღვაწემ ბერტრან რასელმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

მალევე, ერაყში მომხდარი ამასწინანდელი გადატრიალების შემდეგ, მე მივიღე შრავალი ცნობა, რომ ამ ქვეყანაში სწარმოებს ბოროტმოქმედებანი და მასობრივი ხოცვა-ჟლეტა, თებერვალში პრეზიდენტ არიფს გავუგზავნე წერილი, რომელშიც გამოვთქვი წუხილი მიღებული ცნობების გამო და იმედი, რომ შესაძლებელი იქნებოდა კონფლიქტების მინიმუმამდე შემცირება ერაყში.

ამის შემდეგ რამდენჯერმე მიეწერე ერაყის პრეზიდენტს და ვიღებდი მისგან წერილებს, რომლებშიც მარწმუნებდა, რომ ჩემი წუხილი მისი ქვეყნის მოსახლეობის გამო უსაფუძვლოა.

1963 წლის 12 მარტს არიფმა გამომიგზავნა წერილი და მიმიწვია ერაყში, „რათა მენახა... რეალური ფაქტები“. ამ წერილით აღფრთოვანებული, შევეკითხე პრეზიდენტს არიფს: ხომ არ მიიღებდა ჩემს წარმომადგენელს ერაყში, რაზედაც თანხმობა შემომითვალა თავის 20 აპრილის წერილით.

ამის შემდეგ ვაცნობე, რომ ჩემს კოლეგებს ერაყში ჩასვლა შეუძლიათ 8 ივლისს.

28 ივნისს ერაყის საელჩოს საქმეთა რწმუნებულმა ლონდონში გამომიგზავნა წერილი, რომელშიც თავისი მთავრობის სახელით სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ მთავრობას „არ შეუძლია დაიკმაყოფილოს“ ჩემი თხოვნა — მიიღოს დელეგაცია იმ მიზეზის პასუხად, რომელიც მხოლოდ მე მეხებოდა.

ერაყის მთავრობის ეს უეცარი, მკვეთრი შემობრუნება, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, ჩემის აზრით, ბევრის მომასწავებელია. მე გამომაქვს დასკვნა, აღნიშნავს რასელი, ერაყის მთავრობის ახლანდელი პოზიცია შეიძლება აიხსნას იმით, რომ მას არ სურს ერაყში შესვლის ნება მისცეს ვინმეს, ვისაც შეუძლია მიუდგომლად გამოიძიოს მდგომარეობა ამ ქვეყანაში. უნდა ვივარაუდოთ, სწორია ცნობები იმის შესახებ, რომ ფართოდ გავრცელდა სისასტიკე და პოლიტიკური პატიმრების, პროფკავშირებისა და სტუდენტების ხელმძღვანელთა სიკვდილით დასჯა.

ყოველივე ამის შემდეგ, ინგლისის მთავრობის გადწყვეტილება, რომ მისცეს ერაყს სამხედრო საჭურველი, სამარცხვინო გადწყვეტილებაა, რომელიც კატეგორიულად უნდა დაიგმოს.

საბჭოთა ბალეტის წარმატება ლონდონში

ლ ო ნ დ ო ნ ი, 2 ივლისი. საკდესის კორესპონდენტი ე. ეგოროვი იტყობინება:

მისწყდა ჩაიკოვსკის შესანიშნავი მუსიკის უკანასკნელი აკორდები. რამდენიმე წამს მოხიბლულ დარბაზში სიწყნარეა, შემდეგ კი გრიალებს ტაში, რომელიც თანდათანობით ოვაციად გადაიქცა.

ასე დაიწყო ბალეტ „გედის ტბის“ — პირველი სპექტაკლის წარმოდგენა, რომლითაც გუშინ დიდი თეატრის საბალეტო დასმა გასტროლები დაიწყო ლონდონში.

ლონდონის კოვენტ-გარდენის ოპერის თეატრი ხალხით არის გაჭედილი. ბილეთები უკვე რამდენიმე კვირის წინათ გაიყიდა. მაგრამ თეატრის კართან მაინც დგას ხალხი იმის იმედით, რომ ეგებ ზედმეტი ბილეთი იშოვონ.

ჟშმარტად დიდია ლონდონელთა ინტერესი დიდი თეატრის ბალეტის გასტროლებისადმი. პრესა ამ დღეებში ბეჭდავს ბევრ მასალას საბჭოთა ბალეტზე საერთოდ და დიდ თეატრზე განსაკუთრებით.

დიდი ხანია თეატრალურ ლონდონს არ სმენია ასეთი ოვაცია და არ უნახავს მაყურებელთა ისეთი აღფრთოვანება, როგორც გუშინ. როდესაც მ. პლისეცკაიამ შესასრულა ოდეტა-ოდილიას როლი. მისი წარმატება მთლიანად გაიზიარეს სხვა სოლისტებმა და ბალეტის ყველა მსახიობმა. ძნელია მათგან რომელიმეს გამოყოფა. აღტაცება გამოიწვია ფადეიჩევმა პრინცის როლის შესრულებით, მთელი დარბაზი მოაჯადოვეს სამოხვალოვამ „პა დე ტრუას“ ცეკვით, ვირტუოზმა სოლოვიოვმა მასხარის როლის შესრულებით და მაზურკისა და ესპანური ცეკვის შესანიშნავმა შემასრულებლებმა

15 წუთს გრძელდებოდა ოვაცია სპექტაკლის ბოლოს. რამდენჯერმე ასწიეს ფარდა. საბჭოთა მსახიობებს მიართვეს ყვავილები.

სპექტაკლის შემდეგ იქვე. თეატრის ფოიეში. გაიმართა მეგობრული დარბაზობა-ვახშამი. დარბაზობა-ვახშამზე იყვნენ პრემიერ-მინისტრი მაკმილანი მეუღლითურთ, ბეჭდის მცველი ლორდი ჰიტი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი თომასი, ლონდონის თეატრალური საზოგადოების უამრავი წარმომადგენელი. აქ იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ე. ა. ფურცევა, რომელიც ლონდონში ინგლისის მთავრობის მოწვევით ჩამოვიდა, და სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული დიდ ბრიტანეთში ა. ი. რომანოვი.

საბჭოთა სტუმრებს გულთბილი მისასალმებელი სიტყვით მიმართა კოვენტგარდენის თეატრის დირექტორმა დეკად ვეპსტერმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა დიდი თეატრის დირექტორმა ჩულაკიმ.

საკდესის კორესპონდენტმა და „იზვესტიის“ კორესპონდენტმა სთხოვეს პრემიერ-მინისტრ მაკმილანს გაეზიარებინა შთაბეჭდილებანი დღევანდელი სპექტაკლის შესახებ. პრემიერ-მინისტრმა თქვა „დიდად ვიხიბლენ. შესანიშნავი იყო. თქვენ თვითონვე ხედავდით, თუ როგორ მიღიოდ მაყურებელმა სპექტაკლ“. დასასრულ მაკმილანმა თქვა: ძალიან კარგია და სიტყვა „კარგია“ რუსულად გაიმეორა.

კულტურული ურთიერთობა ცეილონთან

კოლომბო, 1 ივლისი. (საკდესი). დღეს აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას კულტურული თანამშრომლობის შესახებ ცეილონსა და საბჭოთა კავშირს შორის 1963 წლისათვის. ამ შეთანხმების შესაბამისად, 15 ცეილონელი სტუდენტი და ასპირანტი ისწავლის საბჭოთა ინსტიტუტებში. შეთანხმება ითვალისწინებს აგრეთვე მეცნიერების გაცვლას, საბჭოთა ცირკის მსახიობთა დასის გამგზავრებას ცეილონში, საბჭოთა ფილმის კვირეულის მოწყობას, ცეილონის ფილმების ჩვენებას საბჭოთა კავშირში. ცეილონის რადიოთი რეგულარულად მოეწყობა გადაცემათა ტრანსლაცია საბჭოთა კავშირიდან, აგრეთვე რუსი და საბჭოთა კომპოზიტორების მუსიკის ტრანსლაცია.

მთავარი საკითხი გადაუჭრელი დარჩა

ბ ო ნ ი, 1 ივლისი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის ზოგიერთი გაზეთი, რომელიც კომენტარს უკეთებს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ კენედისა და ინგლისის პრემიერ-მინისტრ მაკმილანის მოლაპარაკებას, აღნიშნავს, რომ მთავარი საკითხი — ნატოს მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის საკითხი — გადაუჭრელი დარჩა.

„ფრანკფურტერ ალგემაინე“ წერს, რომ „ჯერჯერობით. და იქნებ საერთოდაც. არ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ინგლისი დთანხმდეს მრავალმხრივი წყალზედა ფლოტის შექმნაზე“, რომელიც ატომური იარაღით იქნება აღჭურვილი თუ გავითვალისწინებთ საგარეო პოლიტიკურ სიძნელეებს, იუწყება გაზეთი, მაკმილანი დაჟინებით მოითხოვდა შეეტანათ კომუნიკეში ფრაზა, რომ ინგლისის თანხმობა კვლავ აწარმოოს მოლაპარაკება ამ საკითხზე. არ ნიშნავს, რომ „ინგლისი გზას უხსნიდეს წყალზედა ფლოტის შექმნას“ ინგლისოდკ, დაასკვნის „ფრანკფურტერ ალგემაინე“, მრავალმხრივი ატომური ძალების შექმნის პროექტს აზრი არა აქვს.

როგორი იქნება ამინდი?

ბაზაზხული საქართველოში და მთლიანად ამიერკავკასიაში ხშირწვიმიანი იყო. აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით კახეთში სეტყვაც მოვიდა. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 40-70 პროცენტით აღემატებოდა მრავალწლიურ საშუალო ნორმას, კერძოდ, თბილისში ივნისის 17 დღე წვიმიანი იყო და ნალექები ნორმის 128 პროცენტს შეადგენდა.

23 ივნისამდე თითქმის ყოველდღე წვიმდა, რის გამო ჰაერის ტემპერატურა ყველგან შედარებით დაბალი იყო, ხოლო 24 ივნისს საქართველოში ცხელი ჰაერის მასების ინტენსიური შემოჭრის შედეგად მოხდა ამინდის პირობების მკვეთრი გარდატეხა. წვიმები ყველგან შეწყდა, მოღრუბლულობაც შემცირდა და მზის მცხუნვარებამ საგრძნობლად ასწია ჰაერის ტემპერატურა. მაგალითად, 23 ივნისამდე დღეღამის ტემპერატურა მერყეობდა 15-18 გრადუსის ფარგლებში, შემდეგ კი რამდენიმე დღეში ტემპერატურამ 32 გრადუსს მიაღწია.

ცხელი ამინდის ასეთი პირობები გამოწვეული იყო ატმოსფერული პროცესების განვითარების ზოგიერთი თავისებურებით. ხმელთაშუა ზღვის რაიონებში მთელი ივნისის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ციკლონების ხშირ წარმოშობას და გადაადგილებას შავ ზღვაზე და ამიერკავკასიაში.

მშრალი და ცხელი ამინდები გრძელდება. უახლოესი 10 დღის განმავლობაში საქართველოს ტერიტორიაზე დარჩება მეტწილად უნალექო ამინდი ტემპერატურის თანდათანობით მომატებით.

ა. ივნაძე,
თბილისის ამინდის ბიუროს უფროსი ინჟინერ-სინოპტიკოსი.

ლ. ი. კარტოზია

გარდაიცვალა 1963 წლის 1 ივლისს, 87 წლისა, ერისკაცი ლეონტი იოსების-ძე კარტოზია.

ლეონტი კარტოზია დაიბადა 1889 წელს სენაკის მაზრის სოფ. ნაკალაქევში. [illegible] 1905 წელს [illegible] 1912 [illegible] 1918 [illegible] ბაღში გამართულ მიტინგზე ლ. კარტოზიას მონაწილეობთ მიიღო რეზოლუცია ბოლშევიკებისათვის მხარდაჭერის შესახებ. ამის გამო ეს პოლკი დაშალეს.

1918 წლის თებერვალში ლ. კარტოზია დემობილიზაციით დასრულდა სოფელში. სამეგრელოს 1918 წლის აჯანყების დროს ს. გეგეჭკორთან, შ. ასკურავასთან და სხვებთან ერთად იგი უშუალო მონაწილეობას იღებდა გლეხთა შეიარაღებულ რაზმების შედგენაში და მამაცურად იბრძოდა აჯანყებულთა რიგებში ბანძასთან, ნაკალაქევთან და სხვ. აჯანყების დამარცხების შემდეგ ლ. კარტოზია იძულებული იყო არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულიყო.

1921 წელს კარტოზია დანიშნეს ახალსენაკის მაზრის მილიციის უფროსად. 1922 წელს მას ირჩევენ ახალსენაკის სამაზრო კომიტეტის მდივნად, ხოლო 1923 წელს სენაკის რაიკომის მდივნად. შემდეგში იგი მუშაობდა მაზრის პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და სხვა ორგანოებში.

ლ. კარტოზიას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი ამხანაგეების, მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ოლიმპიური ნაკრების მატჩი

გუშინ ლენინგრადში შედგა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში ნორვეგიის საკლუბო გუნდ „ფრედრიკსტადთან“. შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების გამარჯვებით 7:0. 3 ბერთი გაიტანა კახაკოვმა, 2 — მატვეევმა, თითო — ბიბამ და სერებრიანიკოვმა. თბილისის „დინამოდან“ ჩვენს გუნდში თამამობდა ხუროცელავი.

ჰელსინგბორგის საჭიდაო ხალიჩებზე

შვეიცრის ზღვისპირა პატარა ქალაქ ჰელსინგბორგში ორი დღეა მიმდინარეობს მსოფლიოს პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში 25 ქვეყნის 158 სპორტსმენის მონაწილეობით.

აი პირველი ცნობები ჰელსინგბორგის „იდროტსპუსის“ სპორტული დარბაზიდან, რომელიც 4.500-მდე მაყურებელს. იტევს:

უმაჩატეს წონაში საბჭოთა მოჭიდავეს ს. რიბალკოს ორი შეხვედრა ჰქონდა — შვეციისა და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან კანდაკვისტართან და ფიტასთან და ორივეში წარმატებას მიაღწია. პირველი შეხვედრა მოიგო ქულებით, ხოლო მეორეში წმინდა გამარჯვება მოიპოვა 2 წუთსა და 25 წამში.

სამი შეხვედრა ჰქონდა მჩატე წონაში ა. პარპაპევს (სსრ კავშირი). სამივეში გაიმარჯვა ქულებით. მისი მოწინააღმდეგენი იყვნენ პულსა (გდრ), იუჰანსენი (შვეცია) და ტერეს-პაპერი (ავსტრია).

ქვემსუბუქ წონაში ბ. საპუნოვი ინიციატივიანად იბრძოდა და ორი გამარჯვება ჩაიწერა აქტივში. პირველი შეხვედრა მოიგო ქულებით ტოდტამთან (ჩეხოსლოვაკია), ხოლო ამერიკელი დუგლასი 2 წუთსა და 37 წამში ორივე ბეჭით მიაკრა ხალიჩაზე.

დ. გვანცელაძე მსოფლიო ჩემპიონატში ახალბედა სპორტსმენად ითვლება. მაგრამ გაბედულად იბრძვის. პაუელსთან (მსუბუქი წონა) შეხვედრაში მან გაიმარჯვა ქულებით. მომდევნო წონაში ს. ჩუჩალოვი და ბულგარელი ბიმბალოვი პასიურად იბრძოდნენ. მსაჯთა კოლეგიამ ორივე მეტოქე მოხსნა და მათ დამარცხება ჩაეთვალათ.

მსოფლიოს ჩემპიონ რ. აბაშიძის წინააღმდეგ გამოვიდა ჩეხოსლოვაკელი მოჭიდავე პარენიკი, მაგრამ ამ უკანასკნელმა მხოლოდ 6 წუთსა და 16 წამს გაუძლო მეტოქეს და დამარცხდა.

მძიმე წონაში ა. როშჩინმა (სსრ კავშირი) ქულებით მოუგო აქსის (თურქეთი).

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

ძმები ზნამენსკეების პრიზზე

მსოფლიოს 11 ჩემპიონი. ოლიმპიური 13 და ევროპის 18 ჩემპიონი — აი სპორტსმენთა ერთი ჯგუფი, რომელიც გამოიის ძმები ზნამენსკეების ხსოვნის პრიზებისათვის ბრძოლაში. მძლეოსანთა ეს ტრადიციული და მასობრივი ასპარეზობა დაიწყო გუშინ მოსკოვში.

შუბის ტყორცნაში უძლიერესი იყო ი. ლუსისი (81 მეტრი და 65 სანტიმეტრი), სიგრძეზე ხტომაში ქალთა-თვის კარგი შედეგი — 6 მეტრი და 34 სანტიმეტრი აჩვენა ტ. შჩელკანოვამ, თ. პრესმა ბირთვი ჰკრა 17 მეტრსა და 18 სანტიმეტრზე.

შეამოწმეთ, ვინ რა მოიგო

ოფიციალური ცხრილი

საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1963 წლის (მეოთხე გამოშვების) ლატარიის მოგებათა ტირაჟისა. მოგებათა ტირაჟი გაიმართა 1963 წლის 30 ივნისს ქ. სამტრედიაში

ტირაჟში გათამაშდა 186 ნივთის მოგება და 119.814 ფულადი მოგება 225.000 მანეთის თანხისა. მოგება ხვდა 1963 წლის (მეოთხე გამოშვების) ლატარიის სერიებსა დაბილეთების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
09002	333*)	მაცივარი	200
09003	286*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09012	054*)	300 მან.	—
09024	169*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
09041	061*)	პიანინო	526—50
09047	256*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09056	441*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
09059	164*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
09064	389*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
09079	445*)	50 მანეთი	—
09094	302*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
09096	192*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
09103	1—500	5 მანეთი	—
09110	230*)	მტვერსასრუტი „ჩაიკა“	42—50
09120	012*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
09151	090*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
09181	178*)	500 მანეთი	—
09188	226*)	პიანინო	526—50
09193	332*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
09194	086*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
09211	086*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
09220	157*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09222	159*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09227	452*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
09234	142*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
09239	494*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
09245	303*)	ავტომანქანა „ვოლგა“	4313—25
09248	466*)	25 მანეთი	—
09257	298*)	25 მანეთი	—
09297	444*)	50 მანეთი	—
09303	268 *)	საწოლი ოთახის გარნიტური	800
09308	494*)	25 მანეთი	—
09333	032*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
09341	161*)	50 მანეთი	—
09342	071*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
09343	370*)	ავტომანქანა „ვოლგა“	4313—25
09359	264*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
09377	091*)	25 მანეთი	—
09387	454*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
09455	489*)	300 მანეთი	—
09460	145*)	„ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
09471	278*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09481	164*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
09503	320*)	მტვერსასრუტი „ჩაიკა“	42—50
09507	434*)	პიანინო	526—50
09529	381*)	მაცივარი	200
09571	1—500	5 მანეთი	—
09572	374*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09580	465*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09581	293*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52
09584	460*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52
09608	259*)	მაცივარი	200
09611	106*)	მაჯის საათი მამაკაცის „პობედა“	22
09619	004*)	მაცივარი	200
09620	254*)	300 მანეთი	—
09628	409*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
09650	108*)	პიანინო	526—50
09651	091*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
09653	013*)	50 მანეთი	—
09665	310*)	მაცივარი	200
09667	068*)	პიანინო	526—50
09677	138*)	პიანინო	526—50
09685	189*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
09693	051*)	პიანინო	526—50
09702	347*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
09728	099*)	100 მანეთი	—
09745	308*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
09748	128*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09750	403*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
09760	441*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09771	260*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
09788	094*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
09802	044*)	მაცივარი	200
09853	317*)	25 მანეთი	—
09857	187*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09890	138*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
09897	234*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
09912	476*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
09927	144*)	მაცივარი	200
09933	164*)	მტვერსასრუტი „ჩაიკა“	42—50
09966	029*)	25 მანეთი	—
09975	364*)	300 მანეთი	—
09999	281*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
10020	280*)	მაცივარი	200
10030	003*)	25 მანეთი	—
10051	365*)	მაცივარი	200
10057	186*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10067	278*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
10077	395*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10079	354*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
10087	033*)	პიანინო	526—50
10034	379*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10095	475*)	საწოლი ოთახის გარნიტური	800
10099	392*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
10102	138*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
10132	424*)	მაცივარი	200
10143	355*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
10145	434*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10150	074*)	მაცივარი	200
10194	184*)	პიანინო	526—50
10207	017*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10217	347*)	50 მანეთი	—
10222	1—500	10 მანეთი	—
10232	254*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
10244	431*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
10250	386*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
10251	070*)	პიანინო	526—50
10267	1—500	5 მანეთი	—
10274	279*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
10285	007*)	მაცივარი	200
10303	138*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
10328	065*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22
10330	481*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
10333	286*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
10345	040*)	50 მანეთი	—
10350	469*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
10376	360*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52
10393	179*)	25 მანეთი	—
10408	029*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
10417	392*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
10418	218*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
10438	454*)	300 მანეთი	—
10446	085*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10500	249*)	100 მანეთი	—
10506	426*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
10513	046*)	500 მანეთი	—
10520	1—500	3 მანეთი	—
10521	165*)	მაცივარი	200
10530	188*)	მაცივარი	200
10538	388*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
10554	097*)	პიანინო	526—50
10571	471*)	500 მანეთი	—
10606	422*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
10609	443*)	მაცივარი	200
10641	137*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10642	060*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
10647	296*)	25 მანეთი	—
10649	267*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
10659	1—500	10 მანეთი	—
10663	189*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
10665	009*)	25 მანეთი	—
10677	086*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10679	083*	პიანინო	526—50
10687	363*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
10697	138*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
10716	337*)	25 მანეთი	—
10721	083*)	მაცივარი	200
10741	156*)	პიანინო	526—50
10770	342*)	100 მანეთი	—
10771	222*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
10783	046*)	მაცივარი	200
10789	075*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
10796	029*)	მაცივარი	200
10812	172*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
10815	179*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
10822	388*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
10823	422*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
10834	1—500	10 მანეთი	—
10837	495*)	25 მანეთი	—
10851	317*)	500 მანეთი	—
10861	211*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52
10874	378*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
10882	206*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
10889	199*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
10900	443*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10904	170*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
10908	165*)	50 მანეთი	—
10936	331*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52
10944	468*)	პიანინო	526—50
10960	1—500	10 მანეთი	—
10966	433*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
10979	291*)	მაცივარი	200
10999	094*)	50 მანეთი	—
11002	197*)	მაცივარი	200
11025	474*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
11028	205*)	50 მანეთი	—
11053	152*)	50 მანეთი	—
11057	383*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
11077	089*)	25 მანეთი	—
11078	138*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
11080	241*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
11083	484*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
11101	376*)	პიანინო	526—50
11127	046*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
11136	273*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
11145	098*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
11167	223*)	პიანინო	526—50
11171	086*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
11174	379*)	25 მანეთი	—
11177	362*)	მაცივარი	200
11186	370*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
11207	223*)	მაცივარი	200
11208	306*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
11222	068*)	მტვერსასრუტი „ჩაიკა“	42—50
11228	132*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
11234	033*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22
11253	214*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
11258	1—500	5 მანეთი	—
11287	379*)	25 მანეთი	—
11320	388*)	მაცივარი	200
11327	412*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
11368	147*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
11371	341*)	25 მანეთი	—
11376	271*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
11401	202*)	100 მანეთი	—
11447	085*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
11457	181*)	პიანინო	526—50
11458	075*)	25 მანეთი	—
11464	273*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22
11478	266*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი	30
11507	009*)	რადიოლა „ესტონია-2“	241—50
11513	410*)	25 მანეთი	—
11518	180*)	მაცივარი	200
11519	360*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
11543	136*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
11570	177*)	მაცივარი	200
11574	170*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
11598	116*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
11608	298*)	100 მანეთი	—
11647	446*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
11678	251*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
11694	181*)	25 მანეთი	—
11697	060*)	25 მანეთი	—
11707	155*)	მაცივარი	200
11709	027*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
11710	171*)	პიანინო	526—50
11741	181*)	ფოტოაპარატი „კიევი-4“	125
11757	297*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22
11768	380*)	მაჯის საათი მამაკაცისა „პობედა“	22
11769	444*)	50 მანეთი	—
11779	371*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
11803	322*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
11807	448*)	პიანინო	526—50
11850	457*)	მაცივარი	200
11867	019*)	მაცივარი	200
11883	446*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
11928	157*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
11993	094*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2511—25
11996	159*)	მაცივარი	200
11997	080*)	მაცივარი	200

*შენიშვნა: ლატარიის ამ სერიის ბილეთების დანარჩენ 499 ნომერს ხვდა 1 მანეთი მოგება თვითეულს.

თუ სვეტში „ბილეთის ნომერი“ აღნიშნულია 1—500, ეს იმას ნიშნავს, რომ ერთნაირი მოგება ხვდა ლატარიის მოცემული სერიის ბილეთების ხუთასსავე ნომერს.

მოგებათა მიღების წესი

1. ლატარიის იმ ბილეთის მფლობელს, რომელსაც ნივთის მოგება ხვ